www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 27 სექტემბერი, 2013 წელი. | №3374 (181) | ფასი 50 თეთრი

„მსურს, ვთქვა ყველაფერი, რასაც ვფიქრობ"

მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა გაერო-ში

საქართველოს პრეზიდენტი გაერო-ს გენერალური ასამბლეის 68-ე სესიის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა. მიხეილ სააკაშვილმა ასამბლეის დელეგატების წინაშე პრეზიდენტის რანგში ბოლო სიტყვა წარმოთქვა.

ქვეყნის პირველმა პირმა გაერო-ს ტრიბუნა დიცსა და დვანში განვითარებული მოვლენების შეფასებისთვის გამოიყენა.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

„ეს არ იყო დამარცხებული პარტიის ლიდერის გამოსვლა„

საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაერო-ს გენერალური ასამბლეის 68-ე სესიის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა აშშ-ს ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა „ძლიერ" გამოსვლად შეაფასა.

ელჩის თქმით, ეს სახელმწიფო მოღვაწისგან მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი განცხადება იყო.

„ პრეზიდენტის გამოსვლის სტენოგრამა ვნახე და მოგახსენებთ, რომ ეს იყო ძლიერი გამოსვლა. ჩემი ყურადღება ორმა გარემოებამ მიიპყრო. პირველ რიგში, პრეზიდენტის შეშფოთებამ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლზე საზღვრის გავლების მიმდინარე პროცესის გამო. ამის შესახებ განცხადება მეც არაერთხელ გამიკეთებია.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

იქნება თუ არა მეორე ტური?

მოსახლეობის აზრი ორად არის გაყოფილი



„სხვა" მოიცავს: სალომე ზურაბიშვილი – 2%, კობა დავითაშვილი,– 1% დემ. მოძრაობა–ერთიანი საქართველოსთვის– 1%, თავისუფალი საქართველო–1%, სხვა (ისინი, ვისი პროცენტული მაჩვენებელი არ არის 0.4%–ზე მაღალი) – 1%

სირიაში ზომიერი ოპოზიცია აღარ დარჩა

უშიშროების საბჭო კი «ქიმიური" რეზოლუციის მიღებას მიუახლოვდა

ივა შილაკაძე

სირიის ოპოზიციაში სერიოზული განხეთქილებაა. კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ იქ რეალურად თითქმის აღარ დარჩნენ ზომიერი ფრთის წარმომადგენლები, უფრო მეტი ძალა და გავლენა ისლამისტების ხელში გადავიდა. ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის ჩარჩოებში კი მიმდინარეობს ინტენსიური შეხვედრები უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის, რომლებიც სირიის ქიმიური განიარაღების შესახებ რეზოლუციის ტექსტის შეთანხმებას ცდილობენ.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ლუკა კურტანიძე სადავეებს იღებს ხელში

გიგა გურასაშვილი

წლის დასაწყისში, 8 იანვარს, როდესაც ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში ახლად მოსულმა პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ ახალი სამწვრთნელო შტაბი წარადგინა, თქვა, რომ ისინი 2013 წლის ბოლომდე შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, შემდეგ კი ფედერაცია გადახედავს, შეაჯამებს მათ მიერ გაწეულ სამუშაოს და თანამშრომლობის გაგრძელების საკითხს განიხილავსო.

დღეს საქმე სწორედ აქამდეა მისული - 15 ნოემბერს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელების - რევაზ მინდორაშვილისა და ოთარ ტატიშვილის საქმიანობას გადახედავენ.

თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ბუდაპეშტის მსოფლიო ჩემპიონატი საქართველოს ორივე ნაკრებისთვის წარუმატებლად, უფრო სწორად, კრახით დასრულდა. თავად განსაჯეთ, თავისუფალთა და კლასიკოსთა შვიდეულებიდან მედლამდე მხოლოდ ერთი მივიდა - თავისუფალი და, ამასთან, ახალგაზრდული ნაკრებიდან დიდებში წლეულს გადასული გენო პეტრიაშვილი. ყველა დანარჩენ შემთხვევაში საქართველოს ნაკრები საჭიდაო სამყაროს ლიდერთა ორბიტას უმისამართოდ ასცდა.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ლონდონი ქართულ კინოს ეცნობა

ფესტივალი „კინოში ასახული ცხოვრება" 2 ოქტომბერს დასრულდება

ია ვეკუა

ვიდრე ჩვენს ეკრანებზე ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „გრძელი ნათელი დღეების" გაქირავება წარმატებით მიმდინარეობს, მის დაწყებამდე ზაზა ურუშაძის „მანდარინების" ტრაილერი გადის, ლევან კოლუაშვილის „ბრმა პაემნები" ფესტივალიდან ფესტივალზე ინაცვლებს, ხოლო გიორგი ოვაშვილი „სიმინდის კუნძულის" გადასაღებად ემზადება, ლონდონში უკვე გადაღებული, გაქირავებული და არქივში შენახული ქართული ფილმების ჩვენება მიმდინარეობს. ლონდონის რივერსაიდ სტუდიოში ჩვენება გუშინ საღამოს დაიწყო და 2 ოქტომბრის ჩათვლით გასტანს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

„მსურს, ვთქვა ყველაფერი, რასაც ვფიქრობ“

პირველი გვერდიდან

ამასთან, პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა მეზობელი ქვეყნების მიმართ რუსეთის იმპერიულ პოლიტიკაზე. სააკაშვილის თქმით, რუსეთი არ არის დაინტერესებული მეზობელ ქვეყნებში სტაბილური მდგომარეობით. ამასთან, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველოში მთავრობის შეცვლის მიუხედავად, რუსეთი აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დეოკუპაციას არ განიხილავს. გარდა ამისა, სააკაშვილმა ევროკავშირსა და ევრაზიის კავშირს შორის განსხვავებებზე ისაუბრა.

მიხეილ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლის დროს რუსეთის დელეგაციამ, პროტესტის ნიშნად, დარბაზი დატოვა.

„ჩემთვის დიდი პატივია, ამ ტრიბუნიდან კვლავ წარმოვადგენდე ჩემს საყვარელ ქვეყანას. გასული ათწლეულის განმავლობაში, როდესაც პატივი მქონდა, ამ დარბაზისთვის მომემართა, საქართველო არშემდგარი ქვეყნიდან საბაზრო ეკონომიკის მქონე, დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაიქმნა. ჩვენ განვიცადეთ აღმასვლაც და ვარდნაც, გვქონდა გარღვევებიც და შეცდომებიც, მაგრამ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მსოფლიო ხედავდა ქართველი ხალხის მუდმივ სწრაფვას თავისუფლებისკენ. დღეს მე თქვენ წინაშე ვდგავარ და გთხოვთ, კიდევ ერთხელ მოისმინოთ იმ ხალხის ხმა, ვისთვისაც თავისუფლების სიყვარული ყველანაირ პოლიტიკურ, სოციალურ თუ რელიგიურ სხვაობებზე მაღლა დგას,“ - მიმართა მიხეილ სააკაშვილმა ასამბლეის სესიის მონაწილეებს.

მისი შეფასებით, 1990-იანი წლების დასაწყისის ოპტიმიზმი, როდესაც ლიბერალური და დემოკრატიული ფასეულობების გავრცელება ბუნებრივად გვეჩვენებოდა, როცა ითქვა, რომ ეს „ისტორიის დასასრული“ იყო, როცა გაერო უნდა გამხდარიყო საბოლოოდ დამშვიდებული მსოფლიოს გული და სული, პესიმიზმისა და ცინიზმის ტალღამ წალეკა.

„მსოფლიოში მშვიდობამ არ დაისადგურა. გაერო კი არ გახდა გაერთიანებული ერების გული და სული. ერთ დროს ტრიუმფატორი დასავლური ცივილიზაცია დღეს ცდილობს, ღრმა ეკონომიურ, სოციალურ და მენტალურ კრიზისს გაუმკლავდეს.

აღმოსავლეთ ევროპაში ე.წ. ფერად რევოლუციებს მათ მიერვე რამდენიმე წლის წინათ დამარცხებული ძალები უტევენ. ახლო აღმოსავლეთში, ქაიროსა და ტუნისში მოზეიმე ხალხის სურათი დამასკოში ქიმიური იარაღით მოწამლული ბავშვების საშინელმა სურათმა ჩაანაცვლა. იმედგაცრუებისთვის ბევრი მიზეზია, მაგრამ რამდენად გამართლებულია 90-იანი წლების დოგმატური ოპტიმიზმის ასეთივე დოგმატური პესიმიზმით ჩანაცვლება და ყოველგვარი იმედის გაცრუება?

განა, იმ ფაქტის გაცნობიერებამ, რომ დემოკრატიისა და თავისუფლების გავრცელება ტიტანურ ბრძოლას მოითხოვს, ჩვენი რწმენის და პრინციპების უარყოფა უნდა გვაიძულოს? მე დღეს აქ მოვედი, რათა გაგიზიაროთ ჩემი ხალხის იმედები და ხმა ავიმაღლო ამ პესიმიზმისა და უიმედობის წინააღმდეგ. მე მოვედი, რათა მივმართო მათ, ვისაც ეეჭვება, ყოყმანობს და აქვს ცდუნება, დანებდეს. თუკი დასავლეთი „მოძველდა“, მაშინ რატომ აფასებს ამდენად ნატოში შესვლის თარიღს მილიონობით პოლონელი, ჩეხი, ესტონელი, რუმინელი თუ სხვა ერი? და რატომ აკაკუნებს მილიონობით ქართველი, უკრაინელი, მოლდოველი თუ სხვა ევროპის კავშირის კარზე? თუკი თავისუფლება მოდური აღარ არის, მაშინ როგორ ავხსნათ ის, რომ ტუნისში ერთი ადამიანის თვითმკვლელობამ მსოფლიოს რუკა შეცვალა?“ - აღნიშნა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, რუსეთის იმპერია არ არის დაინტერესებული გარშემო სტაბილური სახელმწიფოების არსებობით.

„სახელმწიფოთა უმეტესობისგან განსხვავებით, რუსეთის ფედერაცია არ არის დაინტერესებული გარშემო სტაბილური სახელმწიფოების არსებობით. მუდმივი ქაოსი და არეულობა მეზობელ ქვეყნებში - ეს არის ის, რასაც კრემლი ესწრაფვის.

ის ფუნდამენტურად უარყოფს საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში ძლიერი მთავრობების იდეას, ისეთებისაც კი, რომლებიც მისი ინტერესების მიმართ მეგობრულად იქნებიან განწყობილნი,“ - განაცხადა პრეზიდენტმა

მისივე თქმით, უკრაინაში ნარინჯისფერი რევოლუციის მარცხის მიუხედავად, რუსეთმა უკრაინისადმი დამოკიდებულება არ შეცვალა, ისევე როგორც საქართველოში მთავრობის ცვლილების მიუხედავად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დეოკუპაციას არ აპირებს.

„მოდით, ვიყოთ სრულიად გახსნილები და დავაკონკრეტოთ არსებული სიტუაცია. როგორ ფიქრობთ, მაგალითად, სურს თუ არა ვლადიმირ პუტინს ის, რომ სომხეთმა ბოლომდე გაიმარჯვოს აზერბაიჯანზე? არა, რადგან ეს ნიშნავს იმას, რომ სომხეთი ზედმეტად ძლიერი და ზედმეტად დამოუკიდებელი იქნება.

ფიქრობთ თუ არა, რომ საწინააღმდეგოა რეალობა ანუ მოსკოვს სურს ბაქოს გამარჯვება ერევანზე? რა თქმა უნდა, არა. მოდერნიზებული აზერბაიჯანის აღზევება რუსი ლიდერებისთვის კოშმარის ტოლფასია.

არა, მათ არც ერთი მხარის გამარჯვება არ სურთ. მათი მიზანი საკუთრივ კონფლიქტია, რადგან ეს ორივე ქვეყნის დამოკიდებულებას უზრუნველყოფს და მათ ევროპულ ინტეგრაციას აფერხებს.

როგორ გგონიათ, განაპირობა თუ არა ნარინჯისფერი რევოლუციის ძალების საარჩევნო მარცხმა უკრაინისადმი მოსკოვის დამოკიდებულების ცვლილება?

პირიქით. იანუკოვიჩის მთავრობა მუდმივი თავდასხმების ობიექტია. რუსეთმა ვილნიუსში დაგეგმილი სამიტის წინ უკრაინის წინააღმდეგ სავაჭრო ომი წამოიწყო, რუსი თანამდებობის პირები კი ღიად საუბრობენ ამ სახელმწიფოს დაშლის პერსპექტივაზე.

როგორ გგონიათ, არის თუ არა კრემლი მზად, განიხილოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დეოკუპაციის საკითხი დღეს, როცა მთავრობა უკვე შეიცვალა თბილისში? სულაც არა! რუსული ჯარი ქართული მიწის ანექსიას კვლავაც აგრძელებს,“ - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტმა გაერო-ს ტრიბუნიდან დიცსა და დვანში განვითარებული მოვლენების შესახებ ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მეგობრული განცხადებების მიუხედავად, რუსული საოკუპაციო ძალები წინსვლას აგრძელებენ.

„გუშინ, დღისით-მზისით, ოკუპანტებმა, სრულიად დაუსჯელად, საქართველოს მოქალაქეები კვლავ გააძევეს საკუთარი სახლებიდან და სოფლებიდან, სადაც მრავალი თაობის განმავლობაში ცხოვრობდნენ.

საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო კვირებისა თუ თვეების მანძილზე გაკეთებული მეგობრული განცხადებების მიუხედავად, რუსული საოკუპაციო ძალები აგრძელებენ წინსვლას, ხალხს ყოფენ მავთულხლართებით, საფრთხეს უქმნიან ჩვენს ეკონომიკას, მიიწევენ ბაქოსუფსის ნავთობსადენისა და საქართველოს მთავარი გზატკეცილისკენ, რითიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ჩვენი ქვეყნის მდგრადობას,“ - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა 2008 წლის ომი გაიხსენა და აღნიშნა, რომ მიუხედავად რუსეთის ფართომასშტაბიანი აგრესიისა, საქართველომ სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება შეძლო. მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, საქართველომ გადარჩენა ერთიანობის და მსოფლიოს თანადგომის ხარჯზე მოახერხა. საქართველოს პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ რუსეთის მხრიდან ზეწოლის შემთხვევაში, მსოფლიო კვლავ გვერდში დაგვიდგება.

„დღეს აქ მოვედი ქართველი ხალხის სახელით და საერთაშორისო გაერთიანებას გთხოვთ, ამ აგრესიაზე მოახდინოთ მკაცრი რეაგირება და გაგვიწიოთ დახმარება, დავასრულოთ რუსეთის ანექსია ჩვენს მიწაზე,“ - მიმართა გენერალურ ასამბლეას საქართველოს პირველმა პირმა.

მისივე განმარტებით, რუსეთის მმართველებმა იციან, რომ უკრაინაში, საქართველოში, მოლდოვასა თუ სხვაგან მყარი ინსტიტუტების აშენება გაძლიერებს ამ ხალხების სწრაფვას ევროპული ოჯახისკენ. საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით, სწორედ ამიტომ მიიჩნია რუსეთის მთავრობამ საქართველოში განხორციელებული წარმატებული რეფორმები ვირუსად, რომელიც ყოფილი საბჭოთა ქვეყნების „ინფიცირებას“ გამოიწვევდა.

„ვლადიმირ პუტინის ზიზღი იმ მთავრობის მიმართ, რომლის მეთაურობის პატივი მე თითქმის ერთი ათწლეულის განმავლობაში მქონდა, არ არის განპირობებული პირადული ანტიპათიითა თუ კულტურული გაუგებრობით. ყველა მსგავსი ინტერპრეტაცია მხოლოდ და მხოლოდ შირმაა,“ - აღნიშნა პრეზიდენტმა.

საქმე საქართველოს სახელმწიფოებრიობის მომავალს ეხება. რატომ? იმიტომ, რომ რუსეთის დღევანდელმა მმართველებმა კარგად იციან, როგორც კი მყარი ინსტიტუტები აშენდება უკრაინაში, საქართველოში, მოლდოვასა თუ სხვაგან, ეს ინსტიტუტები ასახავენ და გააძლიერებენ ამ ქვეყნების ხალხთა სურვილს, იყვნენ ჭეშმარიტად დამოუკიდებლები და ევროპული ოჯახის ნაწილი. სწორედ ამიტომ მიიჩნიეს წარმატებული რეფორმებისა და ნამდვილი სახელმწიფოს მშენებლობის ქართული გამოცდილება ერთგვარ ვირუსად, რომელიც მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის „ინფიცირებას“ მოახდენდა; ვირუსად, რომელიც უნდა ამოიძირკვოს ყველა შესაძლო საშუალებით, მაშინ როდესაც ერთ დროს არშემდგარი, ყველაზე კორუმპირებული და კრიმინალიზებული ქვეყანა, გავხდით ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული მთელ ევროპაში, მსოფლიოს ნომერ პირველი რეფორმატორი - მსოფლიო ბანკის მიხედვით და საუკეთესო ადგილი ბიზნესის საკეთებლად.

სწორედ ამიტომ ქართველ ხალხს დაუწესეს ემბარგო, თავს მოახვიეს ომი და ოკუპაცია - ყველაფერი 2006 წლის შემდეგ,“ - აღნიშნა პრეზიდენტმა და განმარტა, რომ სწორედ ამიტომ არის ქართველი ხალხის წინააღმდეგობა და ქართული დემოკრატიის გადარჩენის უნარი ასე მნიშვნელოვანი მთელი რეგიონისთვის.

მისივე თქმით, ევრაზიული კავშირი ევროპის კავშირის ალტერნატივად შეიქმნა და მას ვლადიმირ პუტინი საკუთარი პრეზიდენტობის მთავარ პროექტად განიხილავს.

„ცუდად მხდის, როდესაც კაგებეს ოფიცერი ვლადიმერ პუტინი მსოფლიოს უკითხავს ლექციას თავისუფლებაზე, ღირებულებებსა და დემოკრატიაზე. ამის გაკეთება სწორედ რომ არ შეუძლია მას, როგორც უკანასკნელი იმპერიის დიქტატორ ლიდერს.

„ევრაზიული კავშირი წარმოადგენს ჩვენს ახლო წარსულსაც და მომავალსაც, რომელსაც მოსკოვში კაგებეს“ ყოფილი ოფიცრები გვიმზადებენ.

ამის საპირისპიროდ, ჩვენი აღორძინებული ტრადიციები და მრავალსაუკუნოვანი მისწრაფებები მიგვიძღვებიან სრულიად სხვა სამყაროსკენ, რომელსაც ევროპა ეწოდება,“ - განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, კრემლი ნერგავს სტერეოტიპს, რომლის ფარგლებში ევროპის კავშირი გაიგივებულია ოჯახის ფასეულობების, ეროვნული ტრადიციების დამანგრეველებთან და განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის თავს მოხვევასთან. მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, უცნაურია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში კიევში, თბილისსა თუ კიშინიოვში მოსკოვში დაწერილი ერთი და იგივე მახინჯი ჰანგები ისმის იმის შესახებ, თითქოს დასავლეთის გავლენის გამო ტრადიციები ირღვევა.

„გვესმის, რომ თითქოს ჩვენი ტრადიციები იმსხვრევა დასავლეთის გავლენის გამო, რომ ეკლესიები გადაიქცევა დისნეილენდებად და რომ ქრისტიანულ დღესასწაულებს გეიპარადებით ჩაანაცვლებენ, და რომ ჩვენი მართლმადიდებლური იდენტობა საფრთხეშია.

დაბოლოს, ვითომც არაფერი, გვესმის, რომ ჩვენს ყოფილ ბატონებთან გვაერთიანებს საერთო პატივისცემა წესიერებისა და ტრადიციების მიმართ.

ნუთუ მართლა ასეთი გულუბრყვილონი ვართ, რომ ეს ტყუილები დავიჯერეთ, როგორც წინა თაობები იჯერებდნენ და მოსკოვს საშუალება მივცეთ, მიიტაცოს ჩვენი სუვერენიტეტი?

ნუთუ, შეგვიძლია, ასე უსამართლო ვიყოთ ჩვენი წინაპრების მიმართ და ვიფიქროთ, რომ მათ პატივი მიეგებათ იმ შემთხვევაში, თუ თავს დავესხმებით რომელიმე მეჩეთს?

ნუთუ, ასე არ ვიცნობთ საკუთარ ისტორიას, რომ მისი უსასრულოდ გამეორება დავუშვათ?“ - განაცხადა პრეზიდენტმა.

სიტყვით გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილმა რიტორიკული შეკითხვით მიმართა გენერალური ასამბლეის მონაწილეებს: **„როცა ჩვენ ვისმენთ რუსი იმპერიალისტების მიერ ნამღერ მართლმადიდებლური ძმობის ყალბ მუსიკას, რატომ არ შეგვიძლია გავიგონოთ მათ მიერვე მოკლული პატრიარქ კირიონისა თუ ნაწამები საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას ხმები?**

ის მხოლოდ იმიტომ აწამეს, რომ ჟენევის კონფერენციას მიმართა და საკუთარ ქვეყანაში დამპყრობლების შეჭრა გააპროტესტა. დაკითხვისას მან ეს სიტყვები წარმოთქვა: **„ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული - სამშობლოს, ჩემი გვამი კი თქვენთვის დამითმია, ჯალათებო!“ ნუთუ, ისე დავყრუვდით, რომ არ გვსურს, გავიგოთ მათ მიერ დახოცილი ეპისკოპოსებისა და მღვდლების ხმები? ნუთუ, ისეთი გაუნათლებლები ვართ, რომ არ გვახსოვს, ვინ გადაღება ჩვენი ტაძრები და წაშალა ჩვენი წმინდა ფრესკები? ნუთუ, ისეთი ბრმები ვართ, რომ ვერ დავინახოთ ჩვენი ტაძრების განადგურება ოკუპირებულ ტერიტორიებზე?**

საქართველოს პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ რუსეთის იმპერიალისტური გზა ჩიხში შევა, ევრაზიულ კავშირს კი კრახი ელოდება.

„რუსული პროექტი განწირულია წარუმატებლობისთვის. დღევანდელ დღეს ვერც ერთი იმპერია ვერ იარსებებს, მით უმეტეს, რუსული,“ - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ რამდენიმე წელიწადში ვლადიმირ პუტინი არც კრემლში იქნება და აღარც რუსულ პოლიტიკაში.

„რუსეთის მოქალაქეთათვის იგი დარჩება ძველი დროის აჩრდილად, იმპერიისა, კორუფციისა და ჩაგვრის აჩრდილად. არავინ უწყის, ეს პროცესი მშვიდობიანი იქნება თუ ძალადობრივი. არავინ უწყის, პუტინის მემკვიდრე ლიბერალი იქნება, ნაციონალისტი თუ ორივე. აქ მთავარი სხვა რამ არის: რუსეთი აღარ იქნება იმპერია და იგი გადაიქცევა ნორმალურ სახელმწიფოდ. ეს ის პერსპექტივაა, რომლისთვისაც ყველა ერთად უნდა მოვემზადოთ,“ - განაცხადა პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოში გატარებულ რეფორმებზე საუბრისას აღნიშნა, რომ მიღწეულით ამაყობს.

თუმცა, მიხეილ სააკაშვილის განმარტებით, მისმა მთავრობამ შეცდომებიც დაუშვა, რომლებზეც სრულად იღებს პასუხისმგებლობას.

„მესმის, რომ ზოგიერთი რამ ძალიან დიდი საფასურის შედეგად გაკეთდა. ჩვენს აჩქარებულ მცდელობებში, რომლებიც პასუხს გასცემდა შიდა და გარე საფრთხეებს, შეცდომებიც დავუშვით და ხანდახან გზაც მოვჭერით. ზოგჯერ ძალიან შორს წავედით, ზოგჯერ კი - არასაკმარისად შორს. მე სრულად ვიღებ პასუხისმგებლობას ყველა ნაკლოვანებაზე და გულთან ახლოს მიმაქვს ყველა იმ ადამიანის აზრი, რომელიც მიიჩნევს, რომ საკმარისად ვერ იხეირა ჩვენ მიერ გაწეული სამუშაოთი ან ვინც თავს ჩვენი რადიკალური მეთოდების მსხვერპლად განიხილავს,“ - განაცხადა პრეზიდენტმა.

ამასთან, მიხეილ სააკაშვილმა გაერო-ს ტრიბუნიდან საქართველოს მოქალაქეებს მიმართა და აღნიშნა, რომ ყველა მათგანით ამაყობს.

„მსურს, მივმართო საქართველოს ყველა მოქალაქეს - ვინც მხარს უჭერდა ჩვენს პროექტს, პოლიტიკასა და პარტიას და მათაც, ვინც ამას უარყოფდა - თუ რაოდენ ამაყი ვარ მათი მოწიფულობით და სიმამაცით, რაოდენ მოკრძალებით ვუცქერ მათ მიერ გაღებულ მსხვერპლსა და ძალისხმევას. მსურს, ვუთხრა მათ, რომ ისინი ყოველთვის უნდა დარჩნენ ერად, რომელსაც თავისუფლებისა და ღირსების სიყვარული აერთიანებს. ჩვენ ვართ და უნდა დავრჩეთ ჩვენი ჯარისკაცების მიერ ავღანეთში გაღებული მსხვერპლის მიმართ უდიდესი მოწიწებით გაერთიანებულ ერად, ერად, რომელიც იზიარებს ჭირსაც, როცა იკარგება ჯარისკაცის სიცოცხლე და ამაყობს მათი სიმამაცით. ჩვენ ვართ ერი, რომელიც ამაყობს თავისი ჯარისკაცებით. ისინი წინ აღუდგნენ ასჯერ უფრო მრავალრიცხოვან რუს დამპყრობელს და მოგვცეს დრო, მსოფლიოსთან ერთად მოგვეხდინა მობილიზება და დაგვეცვა ჩვენი დამოუკიდებლობა, რაც 21-ე საუკუნეში ჩვენზე დიდმა ქვეყნებმა ვერ შეძლეს.

ჩვენ ვართ და უნდა დავრჩეთ ერად, რომელიც ერთიანია ისტორიული მიზნის მისაღწევად - თავისუფალი და დემოკრატიული ერების ევროპულ ოჯახში შესაბიჯებლად, ოჯახში, რომლისგან არასდროს უნდა განვეცალკევებინეთ, ჩვენს ოჯახში. რეგიონული ერთიანობის, თავისუფლებისა და ევროპული ინტეგრაციის ჩვენი გზა ჯერ კიდევ შორს არის დასრულებისგან და მისი საბოლოო წარმატებისთვის მუხლჩაუხრელად ვაპირებ მუშაობას,“ - განაცხადა გაერო-ს ტრიბუნიდან საქართველოს პრეზიდენტმა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

„ეს არ იყო დამარცხებული პარტიის ლიდერის გამოსვლა„

პირველი გვერდიდან

გუშინაც აღვნიშნე, რომ ჩვენ შეშფოთებით ვადევნებთ თვალს მიმდინარე მოვლენებს, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მტკიცედ უჭერს მხარს. საერთაშორისო საზოგადოება იმედოვნებს, რომ ჟენევის მოლაპარაკებების პროცესში შესაძლებელი იქნება, ამ მდგომარეობიდან გონივრული გამოსავალი მოინახოს. ყურადღება მივაქციე ერთ საკმაოდ მნიშვნელოვან დეტალს - პრეზიდენტმა იმ შეცდომების შესახებ ისაუბრა, რომლებიც მისმა ხელისუფლებამ დაუშვა. მან დაშვებული შეცდომების გამო სრული პასუხისმგებლობა იკისრა, წუხილი გამოთქვა, რომ მისი მთავრობის შეცდომების გამო შესაძლოა, ვიღაც დაზარალდა. ვფიქრობ, სახელმწიფო მოღვაწისგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი განცხადებაა,“ - აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილის შეფასებით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ საქართველოს პრეზიდენტმა დიცსა და დვანში შექმნილ ვითარებაზე გაერო-ს მაღალი ტრიბუნიდან ისაუბრა.

„მან ძალიან მკაცრად, ძალიან პრინციპულად დააყენა საკითხი საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე, რათა ეს პროცესები შეჩერდეს, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო და მივიჩნევ, რომ ეს ტრიბუნა ასეთი საფრთხის მატარებელი პროცესების შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებისთვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული და მან ეს გააკეთა,“ - აღნიშნა ალექსი პეტრიაშვილმა.

განსხვავებული მოსაზრება აქვს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძეს. მისი თქმით, ეს „პრეზიდენტის სიტყვა არ იყო“.

„ბუნებრივია, ის, რაც ახსენა რუსეთის აგრესიის მიმართ ჩვენ მიერ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებში და პასუხად რასაც ვღებულობთ, უნდა ეხსენებინა, მაგრამ მთლიანი გამოსვლა რაღაც ლირიული გადახვევებით და ფილოსოფიური ჩართვებით რეგიონს და რუსეთს ეხებოდა. თავიდან ბოლომდე დაუთმო იმპერიალიზმს, კოლონიებს და შემდგომ უკვე მისი მომავალი შესაძლო განვითარების პერსპექტივებს თუ უპერსპექტივობას. ეს არ არის პრეზიდენტის გამოსვლა. ეს შეიძლება იყოს ექსპერტის რაღაც ხილვები, - განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე ამბობს, რომ პრეზიდენტმა გაერო-ში სიტყვით გამოსვლისას სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან ისაუბრა, თუმცა კარგი იქნებოდა, მიხეილ სააკაშვილს ცხრა წლის განმავლობაში ეფიქრა პრობლემებზე, „რომელთა თავი და თავიც თვითონ არის.“

„გაერო-ს ასამბლეაზე პრეზიდენტის რანგში მიხეილ სააკაშვილის ბოლო გამოსვლა იყო. ამით ისარგებლა და ნეგატიური განწყობა, რომელიც მის მიმართ ქვეყანაში თუ ქვეყნის გარეთ არსებობს, გადაფარა პატრიოტული გამოსვლით, რომ ძალიან აწუხებს ტერიტორიების დაკარგვა და „საზღვარზე“ ამ პრობლემების გაჩენა, თუმცა მას დაავიწყდა, რომ ამის თავი თვითონაა,“ - განუცხადა ჟურნალისტებს დავით საგანელიძემ.

თინა ხიდაშელი პრეზიდენტის მიერ რუსეთის შესახებ გაკეთებულ განცხადებებს ეთანხმება, თუმცა აღნიშნავს, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება ასეთი ტერმინოლოგიით აღარ საუბრობს.

„მიუხედავად იმისა, რომ მე პრაქტიკულად ვიზიარებ ყველა სიტყვას, რაც მან რუსეთის შესახებ თქვა, მან მაინც ვერ გაიგო, რომ საქართველოში ხელისუფლება დღეს ასე აღარ ლაპარაკობს - ამ ტერმინოლოგიით და ასეთი ფრაზეოლოგიით. ეს, ჩემი აზრით, ძალიან პრინციპულად მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ვიმეორებ, მიუხედავად იმისა, რომ მას ამ ნაწილში სიტყვა-სიტყვით ვეთანხმები, ეს არ იყო ის, როგორც უნდა ისაუბროს ქვეყნის პრეზიდენტმა გაერო-ს ტრიბუნიდან,“ - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

პრეზიდენტის სიტყვაში პოზიტიური ნიშნები დაინახა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ეკა ბესელიამაც. თუმცა ბესელიას აზრით, შესაძლებელი იყო, პრეზიდენტს ახალი ხელისუფლების „ბევრი სიახლე“ წარმოეჩინა.

გაერო-ს გენერალური ასამბლეის სხდომაზე პრეზიდენტის გამოსვლას თბილისის მერი გიგი უგულავაც გამოეხმაურა. როგორც მერი აღნიშნავს, ეს იყო ძალიან მკაფიო გზავნილი საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რომ საქართველომ ევროპა აირჩია.

„საქართველომ მკაფიოდ გააკეთა არჩევანი ევროპისკენ და ევროატლანტიკური სივრცისკენ. დღეს, სუროგატის სახით, ევრაზიულ კავშირს გვთავაზობენ, რაც საქართველოს დაღუპვას ნიშნავს. პრეზიდენტის გამოსვლა საერთაშორისო საზოგადოებისთვის ძალიან მკაფიო გზავნილი იყო იმის შესახებ, რომ საქართველომ ევროატლანტიკური სივრცე და ევროპა აირჩია, - განაცხადა გიგი უგულავამ.

საპარლამენტო უმცირესობის წევრ ჩიორა თაქთაქიშვილის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილის სიტყვა დამარცხებული პარტიის ლიდერის გამოსვლას არ ჰგავდა. ჩიორა თაქთაქიშვილი, სოციალური ქსელის მეშვეობით, წარმატებას უსურვებს პრეზიდენტს იმ ახალ ბრძოლაში, რომელსაც «ამ გამოსვლით ჩაეყარა საფუძველი».

„ეს არ იყო დამარცხებული პარტიის ლიდერის გამოსვლა! ეს იყო საკუთარი ქვეყნის ისტორიით და თავისუფლების წყურვილით გაჟღენთილი მსოფლიო პოლიტიკური ლიდერის გამოსვლა, რომელიც ნებისმიერი ევროპული ქვეყნის ან თუნდაც ამერიკის სათავეში საერთაშორისო პოლიტიკაში კი შეცვლის მონობის, იმპერიალიზმის, ტირანიის და შემორჩენილი ტოტალიტარული რეჟიმების დასამარცხებლად. აი, რატომ ეშინია რუსეთს მისი! ბატონო პრეზიდენტო, გისურვებთ წარმატებას საქართველოს თავისუფლებისთვის იმ ახალ ბრძოლაში, რომელსაც ამ გამოსვლით ჩაეყარა საფუძველი,“ - წერს ჩიორა თაქთაქიშვილი.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროს ანდრო ბარნოვის განაცხადებით, ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო გამოსვლა გაერო-ს გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან.

„რუსეთის დელეგაციამ დარბაზი დატოვა არა მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის მიერ გატარებულ პოლიტიკაზე საუბრობდა, არამედ მაშინ, როდესაც პირადად ვლადიმირ პუტინს შეეხო. დარბაზიდან გასვლით კი რუსეთის დელეგაციამ პრაქტიკულად დაადასტურა მიხეილ სააკაშვილის სიტყვები,“ - აღნიშნა ბარნოვმა.

გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი გრიგოლ ვაშაძეც გამოეხმაურა. მისი თქმით, ეს, ფორმითაც და შინაარსითაც, მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი საუკეთესო გამოსვლა იყო.

„10-11 წლის განმავლობაში, რაც მე პრეზიდენტის გამოსვლებს ვუსმენ, ეს ერთ-ერთი საუკეთესო გამოსვლა იყო ფორმითაც და შინარსითაც. პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაანახა არა მარტო ქართულ საზოგადოებას, არამედ დანარჩენ მსოფლიოს, რა მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწეა,“ - განაცხადა ვაშაძემ.

მისივე თქმით, პრეზიდენტის გამოსვლაში ის სიმართლე იყო, რაც საერთაშორისო თანამეგობრობაში ყველამ იცის, მაგრამ პოლიტიკური კორექტულობის გამო ამის ხმამაღლა თქმას ვერავინ ბედავს.

„პრეზიდენტმა საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება მიაქცია იმ საფრთხისკენ, რასაც რუსეთი და რუსეთის პროექტები წარმოდგენს... რასაც ბატონი პუტინი დანარჩენ სამყაროს ჰპირდება, აკეთებს ან ძალიან შეეცდება, რომ გააკეთოს. ამიტომ ევრაზიული კავშირი დღეს საქართველოსა და მთელი პოსტსაბჭოთა სივრცისთვის საშინელი საფრთხის შემცველია,“ - განაცხადა ვაშაძემ.

გაერო-ს გენერალური ასამბლეის სესიაზე საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლისას რუსეთის დელეგაციამ გაერო-ში, რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენელ ვიტალი ჩურკინის მეთაურობით, სხდომა დატოვა.

ჩურკინის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა არა მარტო ანტირუსულ, არამედ რუსოფობიულ და ანტიმართლმადიდებლურ ხასიათს ატარებდა.

„ეს იყო რაღაც ბოდვები, რომელიც არა მარტო ანტირუსულ, არამედ რუსოფობიულ და ანტიმართლმადიდებლურ ხასიათს ატარებდა. საბედნიეროდ, პოლიტიკური კარიერა ამ ადამიანისა, რომლის ფსიქიკური მდგომარეობა პროფესიონალურ შეფასებას საჭიროებს, დასასრულს უახლოვდება,“ - განაცხადა ჩურკინმა.

რუსული ინტერნეტრადიო Liberty (RLN.FM) კი აცხადებს, რომ რუსეთის დელეგაციის წევრებს შერცხვათ, გაეაზრებინათ, რომ ემსახურებიან არა საკუთარ ხალხს, არამედ არამზადების ერთ მცირე ჯგუფის ინტერესებს.

„სააკაშვილის სიტყვების გამგონე და იმის შემხედვარე, როგორც ტოვებდნენ დარბაზს რუსეთის დელეგაციის წარმომადგენლები, უნებლიეთ გებადება შეკითხვა: რომელი მათგანია რუსოფობი? მოდით, ვიფიქროთ, რომ მათ, უბრალოდ, შერცხვათ, გაეაზრებინათ, რომ ისინი საკუთარ ხალხს კი არ წარმოადგენენ, არამედ ემსახურებიან არამზადების ერთი მცირე ჯგუფის ინტერესებს, რომელთა დროც იწურება,“ - აღნიშნავს რადიო RLN.FM.

იქნება თუ არა მეორე ტური?

დათო გამისონია

საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, NDI-ს მიერ გამოქვეყნებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები პრეზიდენტობის ძირითადი კანდიდატების რეიტინგების სურათს იძლევა. კვლევები კონკურენტული ბრძოლის მოლოდინს აჩენს. კვლევის თანახმად, ყველაზე რეიტინგულია კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი - მას მოსახლეობის 39 პროცენტი უჭერს მხარს. მეორე ადგილს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე იკავებს - მას, NDI-ს მონაცემებით, მოსახლეობის 18 პროცენტის მხარდაჭერა აქვს. მესამე პოზიციაზე „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძეა - 7 პროცენტით. „ლეიბორისტული პარტიის“ პრეზიდენტობის კანდიდატ შალვა ნათელაშვილისა და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი თარგამაძის რეიტინგი 3-3 პროცენტია.

გამოკითხულთა 16 პროცენტს პასუხი არ აქვს, 6 პროცენტი კვლევაში მონაწილეობაზე უარს ამბობს, 4 პროცენტი არც ერთ კანდიდატს მხარს არ უჭერს, ასევე 4 პროცენტში სხვა კანდიდატების მხარდამჭერები არიან თავმოყრილნი, მათ შორის, „ხალხის პარტიის“ პრეზიდენტობის კანდიდატ კობა დავითაშვილს ხმას 1 პროცენტი აძლევს.

NDI-ს საქართველოს ოფისის დირექტორ ლუის ნავაროს თქმით, მარგველაშვილი რეიტინგით უშუალო კონკურენტს 2-ჯერ უსწრებს, ისევე როგორც დავით ბაქრაძის მხარდამჭერები ყველა სხვა ოპოზიციური ლიდერის მომხრეებს 2-ჯერ აღემატებიან. თუმცა, ნავარო აღნიშნავს, რომ არჩევნების საბოლოო შედეგი და მეორე ტურის გამართვის საკითხი იმის მიხედვით გადაწყდება, რა არჩევანსაც მოსახლეობის ის ნაწილი გააკეთებს, რომელიც ამ ეტაპზე არც ერთ კანდიდატს არ უჭერს მხარს.

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის გამართვის საკითხზე მოსახლეობის აზრი გაყოფილია. გამოკითხულთა 31 პროცენტი მიიჩნევს, რომ მეორე ტურის დანიშვნა მოსალოდნელი ან ძალიან მოსალოდნელია. გამოკითხულთა ასევე 31 პროცენტის აზრით, მეორე ტურის დანიშვნა მოსალოდნელი არ არის. მოსახლეობის 19 პროცენტი ამ საკითხისადმი ნეიტრალურად არის განწყობილი. 19 პროცენტი პასუხობს, რომ კითხვაზე პასუხი არ იცის.

ცალკე კითხვარი ეთმობა პატრიარქისა და პოლიტიკოსთა მოწონების მაჩვენებელს. კვლევის თანახმად, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი სქართველოში ყველაზე პოპულარულ პოლიტიკოსად რჩება. მისი მოწონების მაჩვენებელი 69 პროცენტია. პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის მოწონების მაჩვენებელი კი - 60 პროცენტი. «ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გამოკითხულა 56 პროცენტს მოსწონს. ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია - 52 პროცენტს, ხოლო თინა ხიდაშელი - 49 პროცენტს.

ოპოზიციურ ლიდერებს შორის ყველაზე პოპულარულია დავით ბაქრაძე - მისი მოწონების მაჩვენებელი 49 პროცენტს შეადგენს. გიორგი თარგამაძე 36 პროცენტს მოსწონს, შალვა ნათელაშვილი - 34 პროცენტს და ნინო ბურჯანაძე - 33 პროცენტს.

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოწონების მაჩვენებელი 26 პროცენტია, თბილისის მერის გიგი უგულავასი - 27 პროცენტი, «ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის - 17 პროცენტი. ბიზნესმენი ლევან ვასაძე გამოკითხულთა 16 პროცენტს მოსწონს.

მონაცემებში ტრადიციულად ლიდერობს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელიც გამოკითხულთა 94 პროცენტს მოსწონს.

კვლევის მონაცემებში მინისტრების საქმიანობაა შეფასებული. მოსახლეობას ყველაზე დადებითი განწყობა თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას მიმართ აქვს. ალასანიას საქმიანობას კარგად და ძალიან კარგად აფასებს გამოკითხულთა 49 პროცენტი. მეორე და მესამე ადგილს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი 43-43 პროცენტით ინაწილებენ.

შემდეგ პოზიციაზე საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძეა, 31 პროცენტით. ხუთეულში მოხვდა ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე, რომელიც გამოკითხულთა 30 პროცენტს მოსწონს.

NDI დაინტერესდა, საპრეზიდენტო არჩევნებზე რამდენად მოახდენს გავლენას პოლიტიკიდან წასვლის შესახებ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული განცხადება.

გამოკითხულთა 62 პროცენტი პასუხობს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე არჩევანის გაკეთებისას პრემიერის განცხადება გავლენას არ მოახდენს. 17 პროცენტმა აღნიშნა, რომ ამ განცხადების შემდეგ უფრო ნაკლებად მოსალოდნელია, „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი აირჩიოს. 8 პროცენტი კი პასუხობს, რომ ივანიშვილის განცხადების შემდეგ უფრო მეტად მოსალოდნელია, ხმა „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატს მისცეს. 11 პროცენტი პასუხობს - არ ვიცი. 2 პროცენტი პასუხის გაცემაზე უარს ამბობს.

სოციოლოგიური კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ საქართველოში გაიზარდა იმ ადამიანთა რაოდენობა, ვისთვისაც ქვეყანაში ძლიერი ოპოზიციური პარტიის არსებობა მნიშვნელოვანია. გამოკითხულთა 81 პროცენტის აზრით, ძლიერი ოპოზიცია მნიშვნელოვანი ან ძალიან მნიშვნელოვანია.

გამოკითხულთა 42 პროცენტი ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად „ნაციონალურ მოძრაობას“ მიიჩნევს, რაც ივნისის მაჩვენებელზე 6 პროცენტით ნაკლებია. 4-დან 8 პროცენტამდე გაიზარდა იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიან საქართველოს“ ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად ასახელებენ. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 5 პროცენტის აზრით, ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პარტია „ქართული ოცნებაა,“ ეს მონაცემები ივნისის შემდეგ არ შეცვლილა. 5 პროცენტი კი ძლიერ ოპოზიციურ პარტიად „ლეიბორისტებს“ მიიჩნევს.

NDI-მ არა მხოლოდ ოპოზიციური, არამედ ზოგადად პოლიტიკური პარტიების რეიტინგი გამოიკვლია. აღმოჩნდა, რომ „ქართული ოცნება“ მოსახლეობის 50 პროცენტის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს არის. „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი 12 პროცენტია. რეიტინგში მესამე ადგილს ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“ 4 პროცენტით იკავებს. „ლეიბორისტულ პარტიას“ 3 პროცენტი აქვს, ხოლო „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობას“ - 2 პროცენტი.

კვლევის დროს დასმულ კითხვას - რომელი პოლიტიკური პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს, 16 პროცენტი პასუხობს, რომ არც ერთი პარტია; 4 პროცენტი - უარი პასუხზე; 6 პროცენტი - არ ვიცი; 2 პროცენტი - სხვა.

NDI-ს სოციოლოგიური კვლევა 18 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე პერიოდში ჩატარდა. საქართველოს მასშტაბით ქართულენოვან მოსახლეობას შორის, პირისპირ

ინტერვიუს საშუალებით, წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე 3.838 რესპონდენტი გამოიკითხა. NDI-ს კვლევას, რომელსაც კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი ატარებს, შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო აფინანსებს.

პრეზიდენტობის კანდიდატების შეფასებები

გიორგი მარგველაშვილი NDI-ს კვლევის შეფასებისას აღნიშნავს, რომ ყურადღებით აკვირდება კვლევების დინამიკას, რომლებიც პერიოდულად ქვეყნდება. თუმცა, როგორც მარგველაშვილი ამბობს, „ქართული ოცნების“ შიდა კვლევების მონაცემები უფრო ოპტიმისტურია. **„თანამედროვე, დემოკრატიულ და თავისუფალ სახელმწიფოში მოქალაქეები საარჩევნო კამპანიას თვალყურს ინტერესით ადევნებენ. ყველა პოლიტიკური ძალისთვის საინტერესოა ის ამომრჩეველი, რომელსაც ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია. საარჩევნო კამპანიის დროს ძირითადი აქცენტი სწორედ საზოგადოების ამ ნაწილზე კეთდება,“** - დასძენს გიორგი მარგველაშვილი.

დავით ბაქრაძე NDI-ს კვლევის შედეგებს ენდობა. მისი შეფასებით, NDI სერიოზული საერთაშორისო ორგანიზაციაა და კვლევის შედეგებში ეჭვის შეტანის არანაირი საფუძველი არ არსებობს. **„თავად ის ფაქტი, რომ ჩემსა და სახელისუფლებო კანდიდატს შორის სხვაობა მხოლოდ 20 პროცენტია, იმას მოწმობს, რომ საკმაოდ კონკურენტუნარიანი და მწვავე საპრეზიდენტო არჩევნები გველის. მთავარია, სიმშვიდე და სტაბილურობა შევინარჩუნოთ,“** - აღნიშნავს დავით ბაქრაძე.

კვლევის შედეგებს რადიკალურად განსხვავებულად აფასებს ბურჯანაძე. მისი აზრით, კვლევა სამარცხვინოა და NDI-ს გამიზნული პოლიტიკა აქვს, რათა საზოგადოება არჩევნების გაყალბებას წინასწარ შეაჩვიოს. **„NDI-ს საქართველოს ბიუროს უნდა ჰყოფნოდა იმდენი გონიერება, რომ მას შემდეგ, რაც შარშან, ამ დროს, არჩევნებამდე დადო კვლევა 40-პროცენტიანი ცდომილებით და ამ კვლევებში ბიძინა ივანიშვილი ლამის საერთოდ არ იყო, ამ სამარცხვინო კვლევების შემდეგ იგივე შეცდომა არ დაეშვა,“** - აღნიშნავს ბურჯანაძე.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ქართველი ხალხი არჩევნების ტოტალურ გაყალბებას არ დაუშვებს. ბურჯანაძე NDI-სა და დასავლურ ინსტიტუტებს აფრთხილებს, რომ მათ მიერ „ნაციონალური მოძრაობის“ გაცოცხლების მცდელობა ძალიან ცუდად დამთავრდება. ბურჯანაძის თქმით, საქართველოში დასავლეთის მიმართ განწყობები რადიკალურად უარყოფითად შეიცვლება.

NDI-ს კვლევის შედეგები საინტერესოა გიორგი თარგამაძისთვის. მისი შეფასებით, კვლევა ყველა საარჩევნო შტაბისთვის და ყველა კანდიდატისთვის კარგი სახელმძღვანელოა, რათა საარჩევნო პროგრამების და აქტივობების საზოგადოების ინტერესებზე ორიენტირება გახდეს შესაძლებელი.

რაც შეეხება პოლიტიკურ რეიტინგებს, თარგამაძემ აღნიშნა, რომ „ქრისტიან-დემოკრატების“ და პირადად მის მიმართ მხარდაჭერა და კეთილგანწყობა გაზრდილია.

ირანი მაქსიმალური გახსნილობისათვის არის მზად

ირანის პრეზიდენტ ჰასან როუჰანის ქვეყნის ბირთვული პროგრამის საკითხზე საერთაშორისო საზოგადოებასთან შეთანხმების დადება უახლოესი 3-6 თვის განმავლობაში სურს. «ვაშინგტონ პოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ბირთვული პრობლემის მოგვარება ამერიკა-ირანის ურთიერთობის გაუმჯობესებაში შესაძლოა, მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად იქცეს. პრეზიდენტის თქმით, მისი ქვეყანა მაქსიმალური გახსნილობისათვის მზად არის. მისი თქმით, ქვეყნის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ჰამენეიმ ამ საკიხზე მოლაპარაკებებში მას სრული უფლებამოსილება მიანიჭა.

ქაშმირში თავდასხმას 12 ადამიანი შეეწირა

ინდოეთის ქაშმირის შტატში შეიარაღებული მებრძოლების ჯგუფი პოლიციელებსა და სამხედროებს დაესხა თავს. «ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, დაიღუპა უსაფრთხოების სამსახურების ათი წარმომადგენელი და ორი სამოქალაქო პირი. ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, სამხედროების ფორმაში გადაცმულმა პირებმა პაკისტანის საზღვართან ახლოს პოლიციის შენობას გაუხსნეს ცეცხლი, ამის შემდეგ კი ახლოს მდებარე არმიის ბანაკს დაესხნენ თავს. სამ დღეში კი გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში პაკისტანისა და ინდოეთის პრემიერების შეხვედრაა დაგეგმილი. 1947 წლიდან მოყოლებული, ეს რეგიონი პაკისტანსა და ინდოეთს შორის ტერიტორიული დავის საგანს წარმოადგენს.

ფრანგი მინისტრი ქვეყნიდან ბოშების გაძევებას ითხოვს

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მანუელ ვალსმა ქვეყნიდან ბოშების დეპორტაციის შესახებ მოწოდება გააკეთა. მისი თქმით, «ბოშებს საფრანგეთან ინტეგრირება არ შეუძლიათ და მათ უმრავლესობას ქვეყნის დატოვება მოუწევს.“ ამ განცხადებას ევროპის კომისიისა და უფლებადამცველების მკაცრი კრიტიკა მოჰყვა. «Amnesty International“-მა საფრანგეთს ქვეყნიდან ბოშების გაძევების შეწყვეტისკენ მოუწოდა. უფლებადამცველი ორგანიზაციის მონაცემებით, ამ წლის პირველი ნახევარში საფრანგეთის ბოშების ბანაკიდან 10 000 ადამიანზე მეტი გააძევეს.

მანუელ ვალსის განცხადება ქვეყნის ეკონომიკის მინისტრმაც გააკტრიკა. არნო მონტენბურის თქმით, «თეორია იმის შესახებ, რომ გარკვეულ ჯგუფებს ინტეგრირება არ შეუძლიათ, უბრალოდ, კრიტიკას ვერ უძლებს“. თავად ვალსი არ ფიქრობს, რომ საკუთარი გამონათქვამების გამო ბოდიში აქვს მოსახდელი. როგორც მინისტრმა განაცხადა, ბოშების ცხოვრების სტილი ფრანგულ ღირებულებებს ენინააღმდეგება.

ნაირობის თავდასხმას რამდენიმე ქვეყნის ექსპერტები იძიებენ

კენიის დედაქალაქის სავაჭრო ცენტრზე მომხდარი თავდასხმის გამოძიებაში მონაწილეობისთვის ქვეყანაში დიდი ბრიტანეთიდან, კანადიდან, ამერიკიდან და გერმანიიდან ექსპერტები ჩავიდნენ. რამდენიმე დღის წინ „აშ-შაბაბის“ შეიარაღებული მებრძოლების მიერ სავაჭრო ცენტრზე მოწყობილ თავდასხმას 67 ადამიანი შეეწირა. «აშ შაბაბის“ განცხადებით კი, სავაჭრო ცენტრში მძევლად მყოფი ხალხის დახოცვა მას შემდეგ დაიწყეს, რაც ქვეყნის უსაფრთხოების ძალებმა ქიმიური იარაღი გამოიყენეს. კენიის ხელისუფლებამ აღნიშნულს «ექსტრემისტული პროპაგანდა“ უწოდა და განაცხადა, რომ შტურმის დროს ქიმიური ჭურვები არ გამოუყენებიათ.

ამერიკელს «თალიბანის˝ შეიარაღების მცდელობისთვის 25 წელი მიუსაჯეს

ამერიკის მოქალაქე ალვარ პურიანს მოძრაობა «თალიბანისათვის“ იარაღის მიყიდვის მცდელობის გამო 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. განაჩენი 25 სექტემბერს ნიუ-იორკის ფედერალურმა სასამართლომ გამოიტანა. პურიანი, რომელიც წარმოშობით ერაყელი ქურთია, ამერიკაში 1997 წლიდან მოყოლებული ცხოვრობს. თავდაპირვლად მან ლტოლვილის სტატუსი მიიღო, შემდეგ - ამერიკის მოქალაქეობა. იგი ამერიკის არმიაში ერაყის ომის დროს თარჯიმნად მუშაობდა. «თალიბანთან“ დადებული შეთანხმების მიხედვით, პურიანი მათ 25 მილიონი დოლარის ღირებულების იარაღის ყიდვაში უნდა დახმარებოდა. სასამართლო პროცესზე მას დანაშაული არ უღიარებია და განაცხადა, რომ პირიქით, იგი ცდილობდა, ამერიკის ხელისუფლებისათვის ეცნობებინა, რომ «თალიბანი» დიდი რაოდენობით იარაღის შესყიდვას გეგმავდა. პურიანი, ექვს თანამოაზრესთან ერთად, 2011 წელს დაიჭირეს.

იაპონელ პოლიტიკოსებს კურილიის კუნძულებზე ჩასვლის აკრძალვით ემუქრებიან

რუსეთმა, შესაძლოა, იაპონელ პოლიტიკოსებს კურილიის სამხრეთ, სადავო კუნძულებზე უვიზოდ შესვლა აუკრძალოს. - აღნიშნულის შესახებ რუსეთის დიპლომატიური უწყების ინფორმაციის დეპარტამენტმა განაცხადა. ამის მიზეზად ცოტა ხნის წინ იაპონელი მინისტრის ვიზიტი და მისი გამონათქვამები დასახელდა. იტიტი იამამოტომ კუნაშირისა და იტურუპის კუნძულები იაპონელების ჯგუფთან ერთად მოინახულა. იგი რამდენიმე ღონისძიებას დაესწრო და აღნიშნა, რომ აუცილებლია «ორი ქვეყნის მოსახლეობას შორის ურთიერთობის გაღრმავება“. მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ «მან იგრძნო იაპონიისთვის ჰოკაიდოს ჩრდილოეთის მდებარე ოთხი კუნძულის დაბრუნების აუცილებლობა“. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ «თუ სხადასხვა მიზეზების გამო იაპონელი პოლიტიკოსები კუნძულების თემაზე საჯარო განცხდებების გაკეთებისაგან თავს ვერ იკავებენ, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, მათი ასეთი ვიზიტები შევზღუდოთ.“

მოამზადა თამთა კახაძემ

სირიაში ზომიერი ოპოზიცია აღარ დარჩა

პირველი გვერდიდან

ბოლო დღეებში დიპლომატთა განცხადებებში მეტი ოპტიმიზმი იკვეთება. როგორც ჩანს, რეზოლუციის ტექსტის გარშემო გარკვეულ კონსენსუსს მიაღწიეს.

ოთხშაბათს, საღამოს, სირიაში მოქმედმა 11-მა ისლამისტურმა დაჯგუფებამ გამოაცხადა, რომ ისინი არ აღიარებენ ოპოზიციური ალიანსის - სირიის ეროვნული კოალიციის უფლებამოსილებებს. ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ «არც ერთი ჯგუფი, რომელიც უცხოეთში შეიქმნა იმ ადამიანების მიერ, რომლებიც სამშობლოში არ დაბრუნებულან, ჩვენს ინტერესებს არ გამოხატავს“. მათ ნდობა არ გამოუცხადეს არც სირიის ეროვნულ საბჭოს და არც გარდამავალ მთავრობას ახმად ტომეხის მეთაურობით (ეს უკანასკნელი ამ თანამდებობაზე სექტემბირის შუა რიცხვებში დაინიშნა). ამ ახალმა ალიანსმა ყველა ოპოზიციურ ჯგუფს მოუწოდა გაერთიანებისკენ ისლამიზმის ჩარჩოებში და შარიათის კანონების საფუძველზე.

საერთოდ, ისლამისტები ბოლო პერიოდში სირიის კონფლიქტში სულ უფრო აქტიურ როლს თამაშობენ და მიიჩნევა, რომ ისინი ათობით ათას ამბოხებულს აერთიანებენ.

საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებულ ცნობებში ნათქვამია ისიც, რომ ერთობლივ დეკლარაციას ხელი მოაწერეს თვით «სირიის თავისუფალი არმიის“ წევრებმა, რომ აღარაფერი ვთქვათ რადიკალ ისლამისტებზე, იმავე «ალ ქაიდასთან დაკავშირებულ «ჯებჰატ ან ნუსრაზე“ (გამარჯვების ფრონტი). აქ რაღაც არ არის მთლად ნათლად ნათქვამი. 11 ორგანიზაციის ჩამონათვალში «სირიის თავისუფალი არმია“ არ არის. შესაძლოა, ამ დეკლარაციას ხელი მოაწერა არა ამ არმიის ხელმძღვანელობამ, არამედ მასში შემავალმა მეტ-ნაკლებად ავტონომიურმა დაჯგუფებებმა. ალბათ იგულისხმებიან აქამდე ზომიერ ისლამისტებად ცნობილი სამი ორგანიზაცია: «ლივა ალ თავხიდი“, «ლივა ალ-ისლამი“ და «სუკურ აშ-შამი“. ეს სამი ორგანიზაცია ადრე ეროვნული კოალიციის სამხედრო ფრთად მიიჩნეოდა. მიმომხილველები აცხადებენ, რომ ეროვნული კოალიციის უმაღლესმა სამხედრო საბჭომ თავისი წამყვანი წევრები დაკარგა და ზომიერი ისლამისტების კოალიციამ, როგორც ერთიანმა ორგანიზაციულმა სტრუქტურამ, არსებობა შეწყვიტა.

პარალელურად, ამბოხებულებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება გრძელდება. გავლენისა და რესურსებისთვის იბრძვიან, ერთი მხრივ, «ალ ქაიდას“ ერთ-ერთი ფილიალი «ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“ და, მეორე მხრივ, შედარებით ზომიერი ძალები.

ასეთ ფონზე დასავლეთს და, საერთოდ, საერთაშორისო თანამეგობრობას ალბათ ძალიან გაუჭირდება სირიის ოპოზიციაში სანდო და გავლენიანი პარტნიორების მოძებნა. მით უფრო სათუოა იქ იარაღის გაგზავნის საკითხი, რაზეც ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად საუბრობდნენ.

ნიუ-იორკში კი აქტიურად მიმდინარეობს კონსულტაციები სირიის ქიმიური იარაღის გასანადგურებლად რეზოლუციის ტექსტის შესათანხმებლად გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი სახელმწიფოების დელეგაციებსა და თვით საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის (რომლებიც გაეროს გენერალურ ასამბლეას ესწრებიან). როგორც ჩანს, ამ საქმეში ბოლო ორი დღის განმავლობაში მხარეებმა მინიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს, რადგან როგორც დასავლეთის სახელმწიფოების, ასევე რუსეთის მხრიდან ოპტიმისტური განცხადებები ისმის. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გენადი გატილოვმა განაცხადა, რომ «ძალიან მალე“, შესაძლოა «ორ დღეში“, რეზოლუციაზე მუშაობა დამთავრდეს. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორან ფაბიუსმა, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა გაეროში მარკ ლაიალ გრანტმა და აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტაციის ანონიმმა წარმომადგენელმაც განაცხადეს, რომ რეზოლუციის ტექსტი თითქმის შეთანხმებულია. გუშინწინ რამდენიმე დასავლურმა გაზეთმა, ეტყობა, იჩქარა და ისიც დაწერა, რომ რეზოლუციის ტექსტი უკვე მზად არის და ის შესაძლოა, უკვე ერთ დღე-ღამეში მთლიანად წარუდგინონ უშიშროების საბჭოს, თუმცა ეს ინფორმაცია უარყო რუსეთის დელეგაციამ გაეროში.

გაკეთებული კომენტარებიდან ჩანს, რომ ტექსტი კომპრომისული იქნება. მასში ჩაიდება მინიშნება გაეროს წესდების მეშვიდე თავზე, რომელიც ძალის გამოყენებას დაშვებულად მიიჩნევს, თუმცა რეზოლუცია არ გაითვალისწინებს სამხედრო ჩარევას დაუყოვნებლივ, დამატებითი განხილვის გარეშე, სირიის ქიმიური განიარაღების პროცესის ჩაშლის თუ შეფერხების შემთხვევაში. ეს მთლად ის არ არის, რასაც აშშ, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი მოითხოვდნენ, თუმცა არც ის, რასაც რუსეთი მოითხოვდა. არის აზრი, რომ აშშ მაინც მოითხოვს დამატებით ისეთი ჩანაწერის გაკეთებას, რაც მას მოქმედების მეტ თავისუფლებას მისცემს. ამას გარდა, გაერო ქიმიური იარაღის აკრძალვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სირიის ქიმიური არსენალის განადგურების გეგმის დამტკიცებას ელოდება (ამაზე ჩვენ უკვე ვწედრით). ეს ორგანიზაცია ამჟამად სირიისგან მიღებულ ინფორმაციას ამუშავებს.

რუსეთი კი იმის მტკიცებას აგრძელებს, რომ ქიმური იარაღი 19 მარტს ალეპოშიც და 21 აგვისტოს დამასკოს მახლობლადაც დასახლებულ პუნქტ გუტში ოპოზიციამ გამოიყენა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ეს «ვაშინგტონ პოსტისთვის» მიცემულ ინტერვიუში თქვა. ლავროვი რუსი სპეციალისტების კვლევებს ეყრდნობა, რომელთა აზრითაც, ორივე შემთხვევაში გამოყენებული ზარინი კუსტარული წარმოებისაა, ოღონდ აგვისტოში მისი კონცენტრაცია მეტი იყო. ლავროვმა თქვა, რომ რუსეთის ხელთ არსებული მასალები აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჯონ კერისაც გადასცა. არც ის დამალა, რომ მტკიცებულებები «რვოლუციურს» არაფერს შეიცავს, ეს ადგილზე მყოფი ჟურნალისტების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებია.

ლავროვმა, ამას გარდა, თქვა, რომ ისინი სირიაში მხარს არ უჭერენ რომელიმე მხარეს ან პოლიტიკურ ფიგურას, უბრალოდ, ამ ქვეყნის ერთიანობის და სუვერენიტეტის დასაცავად გამოდიან. ასევე, მან თქვა, რომ თუკი ასადი პირობას დაარღვევს, რუსეთი სირიის წინააღმდეგ სანქციების ამოქმედების საკითხს განიხილავს.

გუშინვე «ჰუმან რაითს უოტჩის» დასკვნა გამოქვეყნდა. ორგანიზაცია მხარს უჭერს გაეროს ექსპერტებს და არა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს. საერთაშორისო ორგანიზაცია ამტკიცებს, რომ სირიის ოპოზიცია სამხედრო დანაშაულს ხშირად ჩადის, მაგრამ ქიმიურ შეტევასთან 21 აგვისტოს არავითარი კავშირი არ აქვთ. გაეროს ექსპერტებიც ამტკიცებდნენ, რომ სირიაში აგვისტოში გამოყენებული ზარინი უფრო მაღალი ხარისხის იყო, ვიდრე სადამ ჰუსეინის შემთხვევაში ერაყში, როცა ქურთების წინააღმდეგ გამოიყენა.

გუშინ სირიის პრეზიდენტმა ასადმა მისცა ინტერვიუ ვენესუელის ტელეარხ «ტელესურს» (Telesur). ასადმა თქვა, რომ მიუხედავად იმის, გაანადგურებს თუ არა მისი ქვეყანა ქიმიურ არსენალს, აშშ-მ შეიძლება, სირიის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები დაიწყოს. პრეზიდენტმა კვლავ გაიმეორა, რომ ქიმიური იარაღი ამბოხებულებმა გამოიყენეს. ამის შესახებ, ასადის განცხადებით, მის შესაბამის ორგანოებს ამბოხებულთა აღიარებითი ჩვენებები აქვთ. ამას გარდა, ასადის მტკიცებით, მათ ამ იარაღის საიდუმლო საცავებს და იატაკქვეშა ლაბორატორიას მიაკვლიეს. მან თქვა, რომ ყველა ეს მტკიცებულება რუსეთს გადასცეს გაეროში წარსადგენად. ასადის სიტყვებით, ოპოზიცია იარაღით უცხოეთიდან მარაგდება, მათ შორის მან სუდის არაბეთი დაასახელა. თუმცა, ასადმა აღნიშნა, რომ უცხოეთის სახელმწიფოების მიერ ამბოხებულებისთვის ქიმიური იარაღის გადაცემის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია (ადრე ლიბიის ვარიანტზე იყო მინიშნებები).

სირიაში ზომიერი ოპოზიცია აღარ დარჩა

პირველი გვერდიდან

ფესტივალი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება. მისი სახელწოდება „კინოში ასახული ცხოვრება“ გახლავთ. ფესტივალი წელს მესამედ ხორციელდება, ლონდონელი მაყურებელი კი 16 ქართულ ფილმს ნახავს, რომელთა შორის ყველაზე ახალი შარშანდელია, ძველი კი 1907 წელსაა გადაღებული.

სწორედ ამ წლითაა დათარიღებული ვასილ ამაშუკელის 5 წუთიანი „ნავთობის ჭაბურღილზე მუშაობა“, რომლის არსებობის შესახებაც ჯერ კიდევ ორი წლის წინ არაფერი იყო ცნობილი. მაშინ „24 საათი“ წერდა, თუ როგორ გადასცა აზერბაიჯანის სახელმწიფო კინოფონდის დირექტორმა ფილმის ასლი ჩვენს ეროვნულ არქივს. ფილმის ორიგინალი, ცხადია, აღარ არსებობს, მისი ელექტრონული ვერსია კი უცხოეთში მცხოვრები აზერბაიჯანელის კერძო კოლექციაში ინახებოდა.

თავად ის ფაქტი, რომ ვასილ ამაშუკელი გარკვეული დროის განმავლობაში ბაქოში მუშაობდა, მისივე მოგონებებიდან დასტურდება, რომელთა ჩანაწერიც ეროვნული არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაშია დაცული: „ვიღებდით ბაქოს სანახაობებს, ნავთის წარმოებებს და პატარ-პატარა ქრონიკებს, ლაბორატორიაში გამოვლენის შემდეგ ვდგამდით ჩვენს კინოში (ქართველ საზოგადოებათა საკრებულოში). კოტესა (მესხი) და მის სიძეს გეპნერს, სხვა კინოებთან შედარებით, უფრო კულტურულად ჰქონდა დაყენებული თავიანთი კინო...“

იმის დასადასტურებლად, რომ აღმოჩენილი მასალა ნამდვილად ვასილ ამაშუკელის მიერ იყო გადაღებული, გარკვეული კვლევა ჩატარდა, რომელსაც კინომცოდნე პაატა იაკაშვილი ხელმძღვანელობდა. „ამ სიუჟეტის შესაქმნელად გამოყენებულ მხატვრულ ხერხებს (ვგულისხმობ სტატიკური აპარატიდან ობიექტის გადაღებას, პანორამასა და რაკურსს, განსაკუთრებით ბოლო ორის მოხმობას რაიმეს აქცენტირებისთვის) ვასილ ამაშუკელის მიერ 1912 წელს გადაღებულ ქრონიკალურ ფილმშიც „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ ვხვდებით. ეს ხერხები ორივე ფილმში ერთნაირადაა გამოყენებული, მიუხედავად იმისა, რომ გადასაღები იბიექტი განსხვავებულია: ერთგან ნავთობის საწარმოს ვხედავთ. გადამღები აპარატი უმეტესად უძრავად იღებს საწარმოს, ეკლესიას, ჭაბურღილის მუშაობას, მიმართავს ჰორიზონტალურ პანორამას და გვიჩვენებს ჭაბურღილის კოშკებს. ასევეა ფილმშიც „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“: კორტეჟის გადაღება სასტუმრო „გრანდოტელის“ ეზოში იწყება. აქ გადამღები აპარატურა უძრავია, ისევე, როგორც აკაკის პატივსაცემად გამართული ფერხულების გადაღებისას; საირმის კლდეების ჩვენებისას ოპერატორი იყენებს რაკურსს ქვევიდან ზევით, კორტეჟის გადაღებისას - რაკურსს ზევიდან ქვევით, ხოლო ბუნების ხედების ჩვენებისას კი ჰორიზონტალურ პანორამას. ამრიგად შეუძლებელია ერთი ოპერატორის სტილი ვერ შევამჩნიოთ, რაც გვაძლევს იმის საფუძვლიან დადასტურებას, რომ ჭაბურღულებზე გადაღებული კადრების ავტორიც ვასილ ამაშუკელია“, - ამბობდა მაშინ პაატა იაკაშვილი.

აღნიშნული ფილმის გარდა ლონდონელმა მაყურებელმა უკვე ნახა გიორგი ლევაშოვ თუმანიშვილის Pret a Vivre-ს, დღეს კი გიორგი ფარაჯანოვის ორ ფილმს - დოკუმენტურ ფილმს „მე მოვკვდი ბავშვობაში“ და სადებიუტო მხატვრულს „ყველა წავიდა“ ნახავს. ეს უკანასკნელი შარშანდელი თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის სტუმრებმაც ნახეს, ფილმმა კი საუკეთესო რეჟისურსთვის დაიმსახურა პრიზი. 28 სექტემბერს რივერსაიდის 200 ადგილიან დარბაზში წარმოდგენილი იქნება ზაზა ურუშაძის „ბოლო გასეირნება“, ქეთი მაჭავარიანის „მარილივით თეთრი“, დავით რონდელის „დაკარგული სამოთხე“ და რუსუდან ჭყონიას „გაიღიმეთ“. 29 სექტემბერს ნახავენ ოთარ იოსელიანის „იყო შაშვი მგალობელს“, ნუცა ღოღობერიძის „ბუბას“, თინათინ გურჩიანის დოკუმენტურ ფილმს „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ და დიტო ცინცაძის „შემოჭრას“. ქართული კინოს დღეების ფარგლებში ასევე წარმოდგენილი იქნება ნანა ჯანელიძის „ნეტავი აქ თეატრი არის?!“ და ელდარ შენგელაიას „არაჩვეულებრივი გამოფენა“ და სხვა. კვირეულის ფარგლებში დაგეგმილია დისკუსია თემაზე „ქალები ქართულ კინემატოგრაფში“.

სასტუმრო "რადისონ ბლუ ივერია" სექტემბრის თვეს ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დახმარებას უძღვნის

"რადისონ ბლუ"-ს სასტუმროების ქსელმა სექტემბრის თვე, ტრადიციულად, საქველმოქმედო ღონისძიებებით დატვირთა. უკვე მეათე წელია, რაც კომპანია სექტემბერს სოციალური პასუხისმგებლობის თვედ აცხადებს და მთელი მსოფლიოს მასშტაბით, როგორც გლობალურ, ისე ლოკალურ საქველმოქმედო აქციებს მართავს.

"დაუმატე ერთი ევრო შენს ანგარიშს"- ამ მესიჯით "რადისონ ბლუ ივერია" ყველა სტუმარს გადასახდელ თანხაზე ერთი ევროს დამატებისა და მსოფლიოს ბავშვთა ორგანიზაციის დახმარებისაკენ მთელი სექტემბრის განმავლობაში მოუწოდებს.

"სოციალური პასუხისმგებლობა ჩვენი კომპანიის ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუნდამენტია. წელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წელიწადი გვაქვს, რადგან სოციალური პასუხისმგებლობის თვის 10 წლის იუბილეს აღვნიშნავთ. კონკრეტულად, ჩვენი სასტუმრო გლობალური ქსელის არაერთ საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობს, მათ შორის, გამოვყოფდი eBay-ს საქველმოქმედო აუქციონს, რომლის ფარგლებში შეგროვილი თანხაც მთლიანად ქველმოქმედებას მოხმარდება",- განაცხადა "რადისონ ბლუ ივერიის" კადრების დეპარტამენტის უფროსმა და სოციალური პასუხისმგებლობის რეგიონალურმა კოორდინატორმა, ეკა ლომიძემ.

ლოკალურ დონეზე, "რადისონ ბლუ"-ს სასტუმროების მენეჯმენტის წევრები რამდენიმე ღონისძიების არა მხოლოდ ორგანიზატორები, არამედ აქტიური მონაწილეებიც გახდნენ. მათ შორის, თბილისის სასტუმროს გუნდის 8 წევრმა, ყაზბეგის მარათონის ფარგლებში, დალაშქრა გერგეთის მთა და შეაგროვა 490 ლარი, რომელიც თბილისში არსებულ, ლეიკემიით დაავადებული ბავშვების მშობელთა სახლს ესტუმრა და სათამაშოები გადასცა. ჩვენი თანამშრომლები მთელი თვის მანძილზე, ორგანიზაცია C.O.A.T.S.-ის დასახმარებლად 8-დან 18 წლამდე ბავშვების ტანსაცმელს აგროვებდნენ, რომელსაც ხსენებულ ორგანიზაციას შაბათს გადავცემთ. თვის ბოლომდე ძალიან ცოტა რჩება, სწორედ ამიტომ, მსურს, ყველას მოვუწოდო, ჩაერთონ ჩვენს აქციაში "დაუმატე ერთი ევრო შენს ანგარიშს" და შეიტანონ საკუთარი წვლილი მსოფლიოს ბავშვთა ორგანიზაციის დახმარებაში. ჩვენი სტუმრების ჩართულობით, ჩვენ უკვე მოვახერხეთ 2000 ლარის შეგროვება და იმედი გვაქვს, რომ მომდევნო დღეებში ეს თანხა საგრძნობლად გაიზრდება",- განაცხადა ლიზა მურადიანმა, სასტუმრო "რადისონ ბლუ ივერიის" სოციალური პასუხისმგებლობის კოორდინატორმა.

ასევე აღსანიშნავია სასტუმროს მენეჯმენტის მიერ კათარზისში ორგანიზებული სადილი, სადაც "რადისონ ბლუ"-ს მზარეულების მიერ მომზადებულ კერძებს ხანდაზმულებს მენეჯმენტის წევრები თავად მიართმევდნენ. მადლობის ნიშნად, ხანდაზმულებმა კომპანიას მიუძღვნეს კონცერტი, რომლის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე 75 წლის გახლდათ.

"სულ ახლახან, ჩვენი სოციალური პასუხისმგებლობის კომიტეტის გუნდი თბილისში არსებულ მშობელთა სახლს ესტუმრა და სათამაშოები გადასცა. ჩვენი თანამშრომლები მთელი თვის მანძილზე, ორგანიზაცია C.O.A.T.S.-ის დასახმარებლად 8-დან 18 წლამდე ბავშვების ტანსაცმელს აგროვებდნენ, რომელსაც ხსენებულ ორგანიზაციას შაბათს გადავცემთ. თვის ბოლომდე ძალიან ცოტა რჩება, სწორედ ამიტომ, მსურს, ყველას მოვუწოდო, ჩაერთონ ჩვენს აქციაში "დაუმატე ერთი ევრო შენს ანგარიშს" და შეიტანონ საკუთარი წვლილი მსოფლიოს ბავშვთა ორგანიზაციის დახმარებაში. ჩვენი სტუმრების ჩართულობით, ჩვენ უკვე მოვახერხეთ 2000 ლარის შეგროვება და იმედი გვაქვს, რომ მომდევნო დღეებში ეს

"რადისონ ბლუ"-ს მენეჯმენტისა და სოციალური პასუხისმგებლობის კომიტეტის წევრებმა უკვე დაიწყეს მზადება ოქტომბერში დაგეგმილი თბილისის მარათონისათვის, რომელიც იმართება ფონდ "იავნანას" დასახმარებლად. სასტუმროს გუნდი ისარგებლებს შემთხვევით, რათა დაეხმაროს საქართველოში არსებულ მრავალშვილიან ოჯახებს.

ირაკლი შიხიაშვილი გიგი უგულავას დებატებში იწვევს

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი დედაქალაქის მერს დებატებში იწვევს. შიხიაშვილმა საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ. „ქალაქ თბილისის მერი ურცხვად აგრძელებს ცრუ ინფორმაციის გავრცელებას საზოგადოებაში, თუმცა თავად წარმოადგენს ტყუილის სათავეს. იგი ბინათმესაკუთრების ამხანაგობების თავმჯდომარეების ხელით ცდილობს, წამოიწყოს ახალი ბინძური პიარკამპანია, როგორც ეს გააკეთა 8 თებერვალს, სადაც მზად იყო, სისხლისღვრამდე მიეყვანა დაპირისპირებული მხარეები. მან თავად მოაწყო პროვოკაცია და შემდეგ თავადვე აწია ხელები. იმისთვის, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეები დღესაც არ იყვნენ გამოყენებულნი თბილისის მერის გიგი უგულავას მიერ მოწყობილ ბინძურ პიარკამპანიაში, მე მივმართავ მათ, გონს მოეგონ და არ გახდნენ პროვოკაციის იარაღი.

როდესაც საკრებულო ცდილობს, შეჯერდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წახალისებისა და, ზოგადად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მოქმედების წესზე, უგულავა ისტერიულად ცდილობს ამ პროცესის ჩაშლას. იმისთვის, რომ საზოგადოებამ ერთხელ და სამუდამოდ დაინახოს ქალაქის მერის სახე, მე მას დებატებში ვიწვევ. უგულავას ვაძლევ უფლებას, თავად აირჩიოს ადგილი და დრო, მე კი მას საზოგადოების წინაშე დავუმტკიცებ, რომ მატყუარაა და ნებისმიერი დაწყებული კამპანია სიცრუეზე აქვს აგებული. დავუსაბუთებ, თუ რამდენჯერ მოატყუა მოქალაქეები და დღესაც აგრძელებს მათ შეცდომაში შეყვანას. უკვე ათასზე მეტი ადამიანი პირადად მყავს მიღებული. გიგი უგულავამ თქვას, რამდენ ადამიანს შეხვდა პირადად ერთი წლის განმავლობაში და რამდენ ადამიანთან გააჩნია უფლება, ილაპარაკოს ზოგადად საქმეზე,“ - აცხადებს საგანგებო განცხადებაში შიხიაშვილი.

დემირელის კოლეჯი

აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას I-XII კლასებში და ხსნის

I კლასისთვის მოსამზადებელ ჯგუფს 4-5 წლის ბავშვებისათვის.

ტრადიციულად, დემირელის კურსდამთავრებულებმა წელსაც ისახელეს თავი და ჩაირიცხნენ აშშ-ს, თურქეთის და საქართველოს პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში.

ათმა მოსწავლემ მოიპოვა 100% -იანი გრანტი, ოთხმა მოსწავლემ 70%-იანი გრანტი, შვიდმა მოსწავლემ 50%-იანი გრანტი.

მისამართი: ორთაჭალა გრიშაშვილის N 51
ტ: 2 75 24 58

განათლების კომიტეტი ჟურნალისტებისთვის ყურის აწევას იწყებს

გუშინ პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა სახელმწიფო ენის დაცვის საკითხზე კანონპროექტის ინიცირება მოახდინა. პროექტი

მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად არის მომზადებული. კანონპროექტის თანახმად, უნდა შეიქმნას სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ორგანო, რომელიც კონტროლს გაუწევს სახელმწიფო ენის დაცვას. კერძოდ კი, როგორც სხდომაზე ითქვა, აღნიშნული სახელმწიფო ორგანო კონტროლს გაუწევს ოფიციალურ დოკუმენტაციას, რეკლამებს და მედიის მიერ მიწოდებული ინფორმაციას. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში სანქციები დაწესდება. შესაბამისი ცვლილებების შეტანა „საჯარო სამსახურის შესახებ“, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონებსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშია დაგეგმილი.

კანონპროექტის მიხედვით, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დარღვევისთვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ექვემდებარება მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. პირველ ჯერზე ჯარიმა 1 000-დან 5 000 ლარამდე იქნება, ხოლო განმეორების შემთხვევაში - 10 000 ლარამდე გაიზრდება. **მედია ამ კანონპროექტის პირველი გულშემატკივარი უნდა იყოს. ზოგჯერ მედიას თავის ვალდებულებებს თუ მოვაგონებთ და ხანდახან ყურს ავუწევთ, ამაში ცუდი არაფერი იქნება,“** - ამბობს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე.

კანონპროექტი სახელმწიფო ენასთან დაკავშირებულ სხვა რეგულაციებსაც ითვალისწინებს. პროექტის თანახმად, თანამდებობის პირი, სახელმწიფო ენის არცოდნის მოტივით, განცხადების ან წერილობითი დოკუმენტის მიღებაზე უარის თქმისთვის 200 ლარიდან 500 ლარამდე დაჯარიმდება. ხოლო იმავე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში ჯარიმა 500 ლარიდან 1 500 ლარამდე იზრდება.

საკუთარი ინფორმაცია

მავთულხლართებს შეწირული სახლები

მარიამ ლორთქიფანიძე

სოფელ დვანსა და დიცში რუსეთი მავთულხლართების გავლებას განაგრძობს.

როგორც ადგილობრივი მცხოვრები აცხადებს, მავთულხლართები ჯერ კიდევ 2010 წელს გაკეთდა, თუმცა ოსური მხარე საოკუპაციო ხაზის კიდევ 50 მეტრით გადმოწევას აპირებს. სოფელ დვანის სამი მოსახლის სახლი ოკუპაციის zonaSi მოექცა, რის გამოც ოსურმა მხარემ მათ ოსური პასპორტების აღება და თავინთ სახლებში დარჩენა შესთავაზა. შეთავაზებაზე სამივე ოჯახმა უარი განაცხადა და სახლის დემონტაჟი ამჯობინა.

სოფელ დვანის მოსახლეობას გუშინ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთევან ციხელაშვილი და იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე შეხვდნენ. ქეთევან ციხელაშვილის განცხადებით, შექმნილ ვითარებაში მთავრობას ორი ამოცანა აქვს: საერთაშორისო საზოგადოებისთვის არსებული მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება, რათა მათი ყურადღება არ მოდუნდეს და კონფლიქტის ზონაში არსებული ყველა სოფლის უზრუნველყოფა საცხოვრებელი პირობებით. **„ჩვენი მოსახლეობა აქ უნდა იყოს, არსად წასვლას და არაფრის დათმობას არ ვაპირებთ, ამ ადამიანებს ნორმალური პირობები უნდა შევუქმნათ,“** - განაცხადა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ. გოჩა ლორთქიფანიძემ კი აღნიშნა, რომ სოფელ დვანში გაუსაძლისი ჰუმანიტარული და ყოფითი მდგომარეობაა. იუსტიციის მინისტრის მოადგილე ამ პრობლემების შესახებ განცხადების გაკეთებას ჟენევის ფორმატში გამართული მოლაპარაკების დროს აპირებს.

საოკუპაციო ხაზზე შექმნილ ვითარებას გუშინ ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი გამოეხმაურა. იგი საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას მოითხოვს. რასმუსენის განცხადებით, რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯები სრულიად ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის მიერ საერთაშორისო ასპარეზზე აღებულ ვალდებულებებს. **„ჩვენ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმართ არაღიარების პოლიტიკას ვაგრძელებთ,“** - განაცხადა რასმუსენმა გაერო-ს გენერალური ასამბლეის ფარგლებში გამართული ორმხრივი შეხვედრების შემდეგ. დვანსა და დიცში რუსეთის საოკუპაციო ძალების ქმედებებს აფასებს აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი. მისი განცხადებით, ბარიერების აღმართვის შესაჩერებლად ჟენევის ფორმატში მიმდინარე მოლაპარაკებები ბოლომდე უნდა იქნეს გამოყენებული. **„ის, რაც ახლა ხდება, საერთაშორის სამართლის ნორმების სრული დარღვევაა. ისრაელის ელჩის კომენტარს ვეთანხმები, უმჯობესია გავაშენოთ ბოსტნები, ვიდრე ახალი ღობეები,“** - აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.

საოკუპაციო ხაზის გადმოწევის საკითხს კიდევ ერთხელ გამოეხმაურა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი. ზაქარეიშვილის განცხადებით, რუსეთი ბრუტალური ძალაა, რომელიც თავისი აგრესიული ქმედებებით ცდილობს, საქართველოს მთავრობას აიძულოს, რომ აგრესიას აგრესიითვე უპასუხოს. **„ჩვენი მთავრობის პრინციპული მიზანია, აგრესიას აგრესიით არ უპასუხოს. გარდა ამისა, იმ ხალხს უნდა მივხედოთ, ვინც ამ გამყოფი ხაზის გამო უშუალოდ ზარალდება,“** - ამბობს სახელმწიფო მინისტრი.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ციტრუსის შემფუთავი/დამხარისხებელი ან/და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის ტარის წარმოების საწარმოების მოწყობისათვის წარმოდგენილი განცხადებების შემსწავლელი და შემრჩევი კომისია აცხადებს კონკურსს. კერძოდ, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ციტრუსის შემფუთავი/დამხარისხებელი ან/და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტარის წარმოების საწარმოების მოწყობისათვის განკუთვნილი ობიექტებით დაინტერესებულმა პრეტენდენტებმა უნდა შეასრულონ შემდეგი ვალდებულებები:

დანართი ?1-ით წარმოდგენილ ობიექტებთან მიმართებაში, ზოგად კრიტერიუმებად განისაზღვროს:

1. 2013 წლის 15 ნოემბრამდე, არანაკლებ 3 ტონა/საათში წარმადობის ციტრუსის შემფუთავი/დამხარისხებელი ან/და გადამამუშავებელი საწარმოს ამოქმედება;

2. 2013 წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით (საწარმოს ამოქმედების პერიოდისათვის) საწარმოს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 1,5 ტონა ტვირთამწეობის ავტომტვირთავი, ელექტროსასწორი და პნევმატური ურიკა;

3. საწარმოში სეზონურად (ციტრუსის სეზონზე) ან/და მუდმივად დასაქმებულთა რაოდენობის არანაკლებ 90%-ს უნდა შეადგენდნენ საქართველოს მოქალაქეები;

4. საკუთრებაში გადაცემულ ობიექტებზე შექმნილი საწარმოს პროფილი შენარჩუნებული უნდა იყოს არანაკლებ 20 წლის განმავლობაში.

საუკეთესო წინადადებების მქონე პრეტენდენტებს ობიექტები საკუთრებაში გადაეცემათ სიმბოლურ ფასად.

დამატებით, პრიორიტეტი მიენიჭება იმ წინადადებებს/განცხადებებს, რომლებითაც პრეტენდენტები აიღებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტარის წარმოების ვალდებულებას. ასევე, დამატებით განიხილება სამაცივრე მეურნეობის შექმნის მიზნით წარმოდგენილი წინადადება/განცხადება.

საკუთრებაში მიმღები დაინტერესებული პირი აუცილებლად უნდა იყოს მეწარმე სუბიექტი ან არასამეწარმეო იურიდიული პირი.

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია განსახორციელებელი მინიმალური ინვესტიციის ოდენობის შესახებ (გეგმა-გრაფიკი) და საწარმოში მუდმივად ან/და სეზონურად დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ.

პრეტენდენტის მიერ სასურველია წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია ანალოგიური საქმიანობის გამოცდილების შესახებ.

განცხადება/წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 19 ივლისის ?146 ბრძანებით შექმნილი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ციტრუსის შემფუთავი/დამხარისხებელი ან/და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტარის წარმოების საწარმოების მოწყობისათვის წარმოდგენილი განცხადებების შემსწავლელი და შემრჩევი კომისიის სახელზე.

დანართი ?2-ით წარმოდგენილ ობიექტებთან მიმართებაში, ზოგად კრიტერიუმებად განისაზღვროს:

1. 2013 წლის 1 ნოემბრამდე, უზრუნველყოს შესაბამისი შენობა-ნაგებობის დაქირავება (სარგებლობის უფლების მოპოვება), სადაც მოაწყოს არანაკლებ 3 ტონა/საათში წარმადობის ციტრუსის შემფუთავი/დამხარისხებელი ან/და გადამამუშავებელი საწარმო და მხოლოდ ამ სეზონისათვის აამოქმედოს იგი;

2. 2013 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით (საწარმოს ამოქმედების პერიოდისათვის) საწარმოს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 1,5 ტონა ტვირთამწეობის ავტომტვირთავი, ელექტროსასწორი და პნევმატური ურიკა;

3. 2014 წლის 30 მაისამდე საკუთრებაში გადაცემულ უძრავ ქონებაზე ააშენოს ან/და რეკონსტრქუცია ჩაუტაროს შენობას, ხოლო 2014 წლის 1 სექტემბრამდე ექსპლუატაციაში შეიყვანოს ციტრუსის შემფუთავი/დამხარისხებელი ან/და გადამამუშავებელი საწარმოს ამოქმედების მიზნით შენობა-ნაგებობა. ამ პერიოდისათვის საწარმოს საკუთრებაში უნდა გააჩნდეს, არანაკლებ 3 ტონა/საათში წარმადობის ციტრუსის შემფუთავი/დამხარისხებელი ან/და გადამამუშავებელი ხაზი, არანაკლებ 2 ტონა ტვირთამწეობის ავტომტვირთავი, ელექტროსასწორი და პნევმატური ურიკა და საწარმო მზად უნდა იყოს სეზონისათვის ციტრუსის შეფუთვა-დახარისხების ან/და გადამუშავებისათვის;

4. საწარმოში სეზონურად (ციტრუსის სეზონზე) ან/და მუდმივად დასაქმებულთა რაოდენობის არანაკლებ 90%-ს უნდა შეადგენდნენ საქართველოს მოქალაქეები.

5. საკუთრებაში გადაცემულ ობიექტებზე შექმნილი საწარმოს პროფილი, 2014 წლის შემოდგომიდან, შენარჩუნებული უნდა იყოს არანაკლებ 20 წლის განმავლობაში.

საუკეთესო წინადადებების მქონე პრეტენდენტებს ობიექტები საკუთრებაში გადაეცემათ სიმბოლურ ფასად.

დამატებით, პრიორიტეტი მიენიჭება იმ წინადადებებს/განცხადებებს, რომლებითაც პრეტენდენტები აიღებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტარის წარმოების ვალდებულებას. ასევე, დამატებით განიხილება და პრიორიტეტი მიენიჭება სამაცივრე მეურნეობის შექმნის მიზნით წარმოდგენილ წინადადებას/განცხადებას.

საკუთრებაში მიმღები დაინტერესებული პირი აუცილებლად უნდა იყოს მეწარმე სუბიექტი ან არასამეწარმეო იურიდიული პირი.

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია განსახორციელებელი მინიმალური ინვესტიციის ოდენობის შესახებ (გეგმა-გრაფიკი) და საწარმოში მუდმივად ან/და სეზონურად დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ.

პრეტენდენტის მიერ სასურველია წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია ანალოგიური საქმიანობის გამოცდილების შესახებ.

განცხადება/წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 19 ივლისის ?146 ბრძანებით შექმნილი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ციტრუსის შემფუთავი/დამხარისხებელი ან/და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტარის წარმოების საწარმოების მოწყობისათვის წარმოდგენილი განცხადებების შემსწავლელი და შემრჩევი კომისიის სახელზე.

ობიექტები მდებარეობს:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: თხილნარი, დაბა მახინჯაური, ორთაბათუმი, ახალშენი (განახლება).

ქობულეთის მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ხალა, ქობულეთი, ხუცუბანი, კვირიკე, ალამბარი, ჯიხანჯური, ცეცხლაური.

ობიექტების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართში (დანართი?1, დანართი ?2). დაინტერესების შემთხვევაში, ობიექტების დათვალიერება შესაძლებელია სამუშაო დღის განმავლობაში. უძრავ ნივთის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საშუალებით.

დაინტერესებული პირების განცხადება/წინადადება მიიღება აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს კანცელარიაში, ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. ?119, დალუქულ პაკეტში, 2013 წლის 27 სექტემბრის 10 საათიდან, ყოველი სამუშაო დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2013 წლის 4 ოქტომბრის 15 საათამდე.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტო: ტელ.: 27 35 10;

www.mofea.ge.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო: ტელ.: 24 78 53;

www.moa.ge.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა: ტელ.: 27 01 99;

www.ajara.gov.ge

დანართი N1

N	მისამართი	დანიშნულება	შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ)	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	ქობულეთის რა-ნი, სოფელი ჯიხანჯური	ყოფილი ავტოფარეხის შენობა	356.4	919	20.37.05.021
2	ხელვაჩაურის რა-ნი, ორთაბათუმში	ციტრუსის ყოფილი მიმღები პუნქტი	390.04	6112	22.22.07.197
3	ხელვაჩაურის რა-ნი, სოფელი ახლშენი (განახლება)	ყოფილი მეღორეობის ფერმის შენობა	610.9	3320	22.23.10.197
4	ხელვაჩაურის რა-ნი, დაბა მახინჯაური	ყოფილი გარაჟების შენობა	806.97	4863	22.21.06.170
5	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი თხილნარი	ციტრუსის ყოფილი მიმღები პუნქტი	290	500	22.28.06.047
6	ქობულეთი, დაბა ოჩხამური, სოფელი ცეცხლაური	ცენტრალური საწყობის ყოფილი შენობა	307,8+216,6	1146+2834	20.37.03.038, 20.37.03.041

დანართი N2

N	მისამართი	დანიშნულება	შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ)	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	ქობულეთი, სოფელი ხუცუბანი	ციტრუსის ყოფილი მიმღები პუნქტი	ნანგრევები	5201	20.39.06.057
2	ქობულეთი, სოფელი ხალა	ციტრუსის ყოფილი მიმღები პუნქტი	ნანგრევები	1773	20.50.01.241
3	ქობულეთის რა-ნი, სოფელი ქობულეთი	ციტრუსის ყოფილი მიმღები პუნქტი	ნანგრევები	4651	20.40.01.121
4	ქობულეთის რა-ნი, სოფელი კვირიკე	ციტრუსის ყოფილი მიმღები პუნქტი	ნანგრევები	1902	20.43.03.324
5	ქობულეთი, სოფელი ალამბარი	ყოფილი შემფუთავი ქარხნის შენობა	3095,2	8950	20.36.02.105

ლუკა კურტანიძე სადავეებს იღებს ხელში

პირველი გვერდიდან

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს კიდევ არა უშავს - ერთი ბრინჯაო, სამი მეხუთე და გუნდური მესამე ადგილი დაიკავა. რევაზ მინდორაშვილის გუნდი სრული კრახისგან გუნდურმა ადგილმა იხსნა, სხვა მხრივ კი, ჩვენი ტრადიციებისა და ამბიციების გათვალსაწინებით, გენო პეტრიაშვილის ბრინჯაო და გუნდური მესამე ადგილი არადამაკმაყოფილებლად უნდა შეფასდეს.

ბერძენ-რომაელთა შემთხვევაში სრული კრახი განიცადა ოთარ ტატიშვილის გუნდმა, რომელიც მედლის სიახლოვესაც კი ვერ მივიდა.

გადავრჩით იმ მხრივ, რომ წინასაოლიმპიადე წელი არ არის, თორემ ლიცენზიები სანატრელი გაგვიხდებოდა. აღარაფერს ვამბობთ რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშებისთვის შვიდივე წონაში ლიცენზიების მოპოვებაზე. ერთიცაა, ფედერაციის ხელმძღვანელობამ მსოფლიო ჩემპიონატზე წამსვლელთა გამოსავლენად ერთგვარ ვალდებულებად დააწესა საქართველოს თასზე წარჩინებულ ფალავანთათვის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები.

შედეგი ის არის, რომ ოთარ ტატიშვილი მთლიანად დაეყრდნო ფედერაციის ხელმძღვანელობის განკარგულებას, რომ მსოფლიოზე მხოლოდ საქართველოს თასის გამარჯვებულებს უნდა ეასპარეზათ, რევაზ მინდორაშვილმა კი გარკვეულ ექსპერიმენტებს მიმართა.

ბუდაპეშტის ხალიჩაზე არც ერთ შემთხვევაში ამგვარმა გადაწყვეტილებამ არ გაამართლა.

...როგორც ყოველთვის, მსოფლიო ჩემპიონატის წინ მაქსიმუმს ვითხოვდით. ნაკრებები კარგად იყვნენ მომზადებული, ტრავმას არავინ უჩიოდა და თითქოს ფორმაშიც იყვნენ. იმედისმომცემი იყო ბუდაპეშტის მსოფლიო ჩემპიონატამდე ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე შემოთავაზებული მიმოხილვა, რომელიც ჭიდაობის მოყვარულთ მონაწილე ქვეყნების შესაძლებლობებს, მათ შანსებს აცნობდა. თვალშისაცემი იყო საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებზე გამახვილებული ყურადღებაც - საქართველოს ნაკრებში მსოფლიო რეიტინგის სამი მოწინავეაო.

გარდა ამისა, ყურადღებას ამახვილებდნენ ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონზე, წლეულს კი დიდებში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორზე, 19 წლის გენო პეტრიაშვილზე.

გვესმის, რომ ნაკრების აბსოლუტური უმრავლესობა ახალბედა იყო. ყველაზე მეტად თუ ვინმესკენაა თითი გასაშვერი, ეს სამწვრთნელო შტაბია, რომელმაც, შედეგებიდან გამომდინარე, მომზადებისას რაღაც შეცდომები დაუშვა, ან რაღაც ვერ გაითვალისწინა. ფაქტია ისიც, რომ მსოფლიო ჩემპიონატი არა მარტო ორივე ნაკრებმა, არამედ მთლიანად ფედერაციამ ჩააგდო, რადგან წლის შედეგების შეჯამებისას მსოფლიო ჩემპიონატის გასწვრივ მხოლოდ ერთი მედალი იქნება მითითებული.

უფრო ვრცლად WEEKEND-ის დღევანდელ ნომერში.

პაატა გურასპაული თბილისის ასაკობრივ ჩემპიონატებთან დაკავშირებით

ოქტომბერში ახალი საკალათბურთო სეზონი იწყება. დუდუ დადიანის მემორიალთან ერთად სტარტს აიღებს თბილისის ჩემპიონატი 16 წლამდელთა შორის. ამ ასაკობრივი ჩემპიონატის ორგანიზატორია თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი, რომელმაც კალათბურთის ფედერაციასთან მიმდინარე წლის დასაწყისში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. განვითარების კავშირი კიდევ რამდენიმე ასაკობრივ ჩემპიონატს ჩაატარებს და გამოავლენს იმ საუკეთესო გუნდებს, რომლებიც ნოემბრიდან საქართველოს ჩემპიონატში ჩაებმებიან. გვესაუბრება თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის პრეზიდენტი პაატა გურასპაული, რომელიც, ამავე დროს, კალათბურთის ფედერაციის გამგეობის წევრია. ასაკობრივი ჩემპიონატების თემასთან ერთად, მოახლოებულ გამგეობის სხდომაზეც ვსაუბრობთ.

- როდის იწყება თბილისის ჩემპიონატები და რატომ გადაწყდა მათი ჩატარება?

- როგორც წესი, რეგიონის შიდა ჩემპიონატები უნდა ტარდებოდეს. ეს ხელს უწყობს გუნდებს შორის ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას, ზრდის თამაშების რაოდენობას, რაც ახალგაზრდების განვითარებას ხელს უწყობს. ასევე გამოავლენს საქართველოს ჩემპიონატისთვის ძლიერ გუნდებს და ქვეყნის პირველობაში კონკურენტუნარიანი კლუბები მოიყრიან თავს. ოქტომბრის დასაწყისში სტარტს აიღებს 16 წლამდელთა ჩემპიონატი. მალე მას 18 წლამდელთა ჩემპიონატი მოჰყვება. თბილისის ჩემპიონატებს კალათბურთის ფედერაციის დახმარებით და მასთან მიმდინარე წლის დასაწყისში გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ვატარებთ.

- თბილისის მასშტაბით მხოლოდ 16 და 18 წლამდელთა ჩემპიონატებს ჩაატარებთ?

- ნოემბერში 13 და 14 წლამდელთა თბილისის პირველობებსაც გავმართავთ. 20 წლამდელებში კი თბილისის ჩემპიონატის ჩატარება არ იგეგმება.

- რამდენი გუნდი მიიღებს მონაწილეობას ასაკობრივ ჩემპიონატებში და რამდენი მათგანი გადაინაცვლებს საქართველოს პირველობაზე?

- ჩემპიონატებში მონაწილე გუნდების რაოდენობა ამ კვირის ბოლოს დადგინდება. ჯერჯერობით 16 წლამდელებში 20 გუნდია რეგისტირებული, 18 წლამდელებში - 14. ამ ვითარებაში, სავარაუდოდ, საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას მიიღებს თბილისის 16 წლამდელთა ჩემპიონატის საუკეთესო 10, ხოლო 18 წლამდელებიდან 8 საუკეთესო გუნდი. შესაძლოა, კვირის ბოლომდე მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდოს და საბოლოო კვოტებიც ამის შემდეგ დადგინდება.

- იგეგმება თუ არა შიდა ჩემპიონატების ჩატარება საქართველოს სხვა რეგიონებშიც?

- როგორც გავიგე, აპირებენ სხვადასხვა რეგიონშიც ჩაატარონ შიდა ჩემპიონატები, რაც ძალიან კარგი იქნება.

- კალათბურთის განვითარების კავშირმა გასულ გაზაფხულზე 2000 და 2001 წლებში დაბადებულთა ტურნირებიც ჩაატარა...

- ის საქართველოს ჩემპიონატი არ ყოფილა. უბრალოდ, ფესტივალი ჩავატარეთ 12 და 13 წლამდელებს შორის, რომელსაც კარგი გამოხმაურება მოჰყვა, ისევე როგორც „მზიურში“ ორგანიზებულ საკალათბურთო მარათონს. ამ ტურნირებში ბევრი მოზარდი მონაწილეობდა, რომლებმაც დიდი მუხტი და გამოცდილება მიიღეს.

gbf.ge

ბოსნიელი სნაიპერი

ზურა თალაკვაძე

მირზა ტელეტოვიჩი ევროპის ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი ტიპი იყო. ოფიციალურად ყველაზე შედეგიანი ტონი პარკერი (1.0) გახდა და ტელეტოვიჩს, ტელეტოვიჩის გუნდს თამაშების არასაკმარისი რაოდენობა დაუგროვდათ. პირველი ჯგუფური ეტაპის 5 ტესტში ბოსნიელმა 21.0 ქულა აიღო. კარგი სტატისტიკაა. საუკეთესო სტატისტიკა. ალბათ, ბოსნიას ყველაზე მეტად არ გაუმართლა. შემდეგ ეტაპზე ბოსნიაზე სუსტი, ერთჯერადი გუნდები გავიდნენ. სწრაფი, მოქნილი, ცოტა არაპროგნოზირებადი და ტელეტოვიჩის ბოსნია ჩარჩა. გუნდმა ხუთიდან სამი ტესტი მოიგო და მაინც საშემოდგომო გააყოლეს. ცოტა უსამართლო იყო. ბოსნიას ტელეტოვიჩი ჰყავს. მთქმელი ტიპი. სნაიპერის თვალებით. სნაიპერის თითებით. ჯონ რემბოს ხასიათით. ცოტა ჯიუტი და ზედმეტად ინდივიდუალისტი. უბრალოდ, როცა ბოსნიაში ტელეტოვიჩი ხარ, საკუთარ თავზე რეალურად ბევრი უნდა აიღო. და ტელეტოვიჩი იღებდა. და ასრულებდა. და ბოსნიამ კარგი ევრობასკეტი მიიღო. ბრავო!

მირზა და თორნიკე შენგელია ერთ გუნდში იღებენ ხელფასს. რუსი ოპტიმისტის და დერონ უილიამსის გუნდში. პენსიონერი პირსის და სადისტი გარნეტის გუნდში. ჯეისონ კიდის და ჯო ჯონსონის გუნდში. იმ გუნდში ბევრი რაღაც დასაბალანსებელია და კიდმა ეს პროცესი მშვიდად უნდა დაამთავროს. მიხაილ პროხოროვი კიდის თაყვანისმცემელია, მაგრამ ჯეისონზე მეტად საკუთარ დროს აფასებს. პროხოროვს უნდა მოგება. არა პერსპექტივაში. რუსმა კარგი კერძი შეუკვეთა და ვერ დაელოდება. რუსს ის კერძი დროულად უნდა მიართვან. თუ კიდი დროს გაწელავს, ჯეისონი უმუშევარი იქნება. პროხოროვი პერსპექტივასთან ვერ ახლობლობს. პერსპექტივა სხვების ტერმინია. რუსი გარნეტს, პირსს და საუკეთესო რუსს - ანდრეი კირილენკოს დიდ კუშს პერსპექტივაში ვერ უხდის. ვეტერანებმა დღესვე უნდა მოიგონ. და ტელეტოვიჩი თორნიკესთან ერთად ამ ნიჭიერ, ცოტა ჭრელ და გაუგებარ ბანდაშია.

ტელეტოვიჩმა ამერიკული სეზონი არ გაიხსენა. ევრობასკეტის დროს მირზა მხოლოდ ბოსნიაზე ფიქრობდა და „ბრუკლინში“ მიღებული მიზერი არ ახსენდებოდა. ტელეტოვიჩმა შეასრულა. და ბოსნია ძალიან თანაბარ, უსიამოვნო ჯგუფში იყო.

მირზა იწყებს ლატვიით. 18 ქულა, 8 მოხსნა და უფრო სწრაფმა ლატვიამ 86:75 დასვა. ლატვია უკეთესი იყო და ლატვიამ ბოსნიელი სნაიპერის კარგი სტატისტიკა გადაფარა.

მირზა აგრძელებს სერბეთით. 16 ქულა სოლიდურია. სერბეთიც ბოსნიაზე სოლიდურია. და უკეთესმა გუნდმა 77:67 მოუგო მირზას მეგობრებს. კლასით, კრსტიჩით მოუგო.

ბოლო სამი თამაში ბოსნიამ მოიგო. მაინც ვერ გავიდა მეორე ეტაპზე. ტელეტოვიჩი მონტენეგროსთან 18 ქულით ერთობა. და 11 მოხსნასაც აგროვებს. მირზა მაკედონიასთან დაცვაშიც კარგია და თავის მუღამებს არ ივიწყებს. ტელეტოვიჩის 22 ქულა, 7 მოხსნა და ბოსნიამ 62:54 გადააგორა ბო მაკალები და სხვები. ბოსნია აზრზე მოვიდა, მაგრამ ბოლო თამაშში მოგებაც შეიძლება არ ეყოს. ბოსნია ლიტვაზე გადის.

ტელეტოვიჩმა დახია ლიტვა. უბრალოდ, არ შეიმჩნია არავინ, მშვიდად წამოიღო 31 ქულა და მშვიდად მოაგებინა თავის გუნდს 87:72. ტელეტოვიჩმა 6 სამიანი გამოიყენა. ბევრიც (9) ვერ გაუშვა ზუსტად, მაგრამ მაინც საუკეთესო იყო. ბოსნიამ, ლატვიამ, ლიტვამ და სერბეთმა პირველი ჯგუფური ეტაპი 3-3 მოგებით დახურეს და ბოსნია ამ კვარტეტში ზედმეტი იყო. სამწუხაროდ, ზედმეტი იყო. ტელეტოვიჩი მეორე ეტაპს იმსახურებდა. მირზა თავის შანსს მიიღებს. ტელეტოვიჩი პატრიოტია და ნაკრებში თითქმის სულ თამაშობს. ტელეტოვიჩი დაბრუნდება.

მირზა ტელეტოვიჩი ევროპის ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი იყო. პირველი ჯგუფური ეტაპის 5 ტესტში ბოსნიელმა 21.0 ქულა აიღო. კარგი სტატისტიკაა. საუკეთესო სტატისტიკა. ალბათ, ბოსნიას ყველაზე მეტად არ გაუმართლა. შემდეგ ეტაპზე ბოსნიაზე სუსტი, ერთჯერადი გუნდები გავიდნენ. სწრაფი, მოქნილი, ცოტა არაპროგნოზირებადი და ტელეტოვიჩის ბოსნია ჩარჩა. გუნდმა ხუთიდან სამი ტესტი მოიგო და მაინც საშემოდგომო გააყოლეს. ცოტა უსამართლო იყო. ბოსნიას ტელეტოვიჩი ჰყავს. მთქმელი ტიპი. სნაიპერის თვალებით. სნაიპერის თითებით. ჯონ რემბოს ხასიათით. ცოტა ჯიუტი და ზედმეტად ინდივიდუალისტი. უბრალოდ, როცა ბოსნიაში ტელეტოვიჩი ხარ, საკუთარ თავზე რეალურად ბევრი უნდა აიღო. და ტელეტოვიჩი იღებდა. და ასრულებდა. და ბოსნიამ კარგი ევრობასკეტი მიიღო. ბრავო!


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK GEORGIA & ARMENIA FINAL SHOW
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE WWW.ELITEMODELLOOK.COM/AM
5 OCTOBER
Tbilisi, Georgia
20:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
ARMENIA
MODEL MANAGEMENT
kikala studio
MAX PROM
BEAUTY SALON L'Académie
OUtdooR.ge
saller
ADSSPRINT
SHOES-CAFE MADONNA
TBILISI MALL
McCANN TBILISI
NEPTUN
MUSIC BOX
MYVIDEO.GE
EGO
GHN
ANGEL
MSG MARKETING
24 Saati
allmovies.ge
Pink
LUXURY
IMPERIAL PALACE HOTEL
KAMOBLOG.TV
FASHION BLOG .AM